სს „ლომისი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წ. 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ---------- 1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ---------- 2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება---------- 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ---------- 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა ---------- 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო ---------- 5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები---------- 6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ----------17
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება ---------- 17
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები---------- 21
7 ძირითადი საშუალებები ----------24
8 არამატერიალური აქტივები ----------25
9 მარაგები ---------- 25
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ---------- 26
11 ვადიანი ანაბრები ----------27
12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები-- ----------27
13 განთავსებული სააქციო კაპიტალი ----------28
14 ნასესხები სახსრები ----------29
15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება ----------29
16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ----------30
17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან----------30
18 გაყიდული საქონლის თვითღირებულება----------30
19 დისტრიბუციის ხარჯები ----------31
20 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები----------32
21 ფინანსური შემოსავალი/ხარჯები, ნეტო ----------32
22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები----------33
23 ფინანსური რისკის მართვა ----------34
24 კაპიტალის მართვა ----------40
25 რეალური ღირებულების შეფასება----------41
26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით--------42
27 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან----------42
28 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები ----------44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ლომისის აქციონერსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს ლომისის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

კომპანიის ხელმძღვანელობა აგებს პასუხს სხვა ინფორმაციისთვის. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტის დასკვნას).
ჩვენი მოსაზრება ფინანსური მდგომარეობის შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.
ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში , გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარდა ამისა, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ჩვენ ვალდებული ვართ გამოვთქვათ ჩვენი აზრი შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განსაზღვროთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენს მიერ შესრულებული აუდიტის საფუძველზე ჩვენი აზრი შემდეგია:

- მმართველობის ანგარიშგება იმ ფინანსური წლის თაობაზე მოცემული ინფორმაცია, რომლისთვის მომზადებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური მდგომარეობის აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ

გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული

განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (რეგ. #SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგ. # SARAS-A-562091) /ხელმოწერილია/

2024 წ. 4 ივლისი
თბილისი, საქართველო

სს „ლომისი“
ფინანსური მდგომრეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	7	54,984	46,470
ძირითადი საშუალებები	8	3,624	1,750
არამატერიალური აქტივები		2,109	1,274
აქტივის გამოყენების უფლება		1,072	786
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		**61,789**	**50,280**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	21,730	26,023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	29,815	22,624
აქციათა მფლობელისაგან მისაღები თანხები		75	--
ვადიანი ანაბრები	11	4,034	--
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	12	35,439	27,385
სულ მოკლევადიანი აქტივები		**91,093**	**76,032**
სულ აქტივები		**152,882**	**126,312**
კაპიტალი			
განთავსებული სააქციო კაპიტალი	13	100	20
საემისიო შემოსავალი	13	5,441	5,441
გაუნაწილებელი მოგება		83,499	48,407
სულ კაპიტალი		**89,040**	**53,868**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		679	489
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**679**	**489**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	20,030	38,865
საიჯარო ვალდებულებები		1,152	448
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	40,730	31,651
სახელშეკრულებო ვალდებულებები		1,251	991
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**63,163**	**71,955**
სულ ვალდებულებები		**63,842**	**72,444**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**152,882**	**126,312**

დამტკიცებულია გაცემისთვის და ხელმოწერილია მმართველობის საბჭოს სახელით 2024 წ. 4 ივლისს.

ველი დინჩელი ხელმოწერილია
გენერალური მენეჯერი

დილარა ერდოღანი ხელმოწერილია
ფინანსური დირექტორი

მე-5 გვერდიდან 30-ე გვერდამდე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური მდგომრეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ლომისი“
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	17	**216,438**	**200,429**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	18	(133,014)	(127,281)
მთლიანი მოგება		**83,424**	**73,148**
სხვა შემოსავალი		2,381	1,378
დისტრიბუციის დანახარჯები	19	(28,142)	(26,190)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(21,590)	(17,775)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსურ აქტივებზე,ნეტო	10	(94)	-
სხვა მოგება/(ზარალი), ნეტო		417	894
საოპერაციო მოგება		**36,396**	**31,455**
ფინანსური შემოსავალი	21	1,481	7,505
ფინანსური ხარჯები	21	(2,785)	(1,932)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**35,092**	**37,028**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**35,092**	**37,028**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**35,092**	**37,028**

მე-5 გვერდიდან 30-ე გვერდამდე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური მდგომრეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ლომისი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	განთავსებული სააქციოკაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი დეფიციტი)	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**20**	**5,441**	**11,379**	**16,840**
წლის მოგება	--	--	37,028	37,028
სულ წლის სრული შემოსავალი	--	--	37,028	37,028
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**20**	**5,441**	**48,407**	**53,868**
წლის მოგება	--	--	35,092	35,092
სულ წლის სრული შემოსავალი	--	--	35,092	35,092
განთავსებული სააქციო კაპიტალის გაზრდა (შენიშვნა 13)	80	--	--	80
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**100**	**5,441**	**83,499**	**89,040**

მე-5 გვერდიდან 30-ე გვერდამდე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური მდგომრეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ლომისი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**35,092**	**37,028**
შესწორებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	7,8	12,332	12,950
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	19,20	1,057	974
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	10	94	--
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		(370)	11
შემცირებული შემოსულობით			
ფინანსური შემოსავალი	21	(780)	(1,026)
ფინანსური ხარჯი	21	2,785	1,932
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების სხვაობები		(1,165)	(7,461)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**49,045**	**44,408**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(7,417)	(5,259)
მარაგების შემცირება/(ზრდა)		4,293	(11,638)
ზრდა სახელშეკრულებო ვალდებულებებში		260	766
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		8,839	10,082
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**5,975**	**(6,049)**
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		780	1,026
გადახდილი პროცენტი		(2,604)	(2,777)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**53,196**	**36,608**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(21,214)	(14,778)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		558	--
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(1,980)	(33)
საბანკო ანაბრების განთავსება	11	(3,866)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(26,502)**	**(14,811)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(18,315)	(13,174)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა – ძირითადი თანხა	15	(959)	(840)
კაპიტალის შენატანები	13	5	--
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(19,269)**	**(14,014)**
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		629	(2,483)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**27,385**	**22,085**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**35,439**	**27,385**

მე-5 გვერდიდან 30-ე გვერდამდე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური მდგომრეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, სს ლომისისათვის (შემდგომში „კომპანია“).

კომპანია დაარსდა 1997 წლის 16 მაისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება, შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 223236013.

კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიაა Efes Breweries International B.V., ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი Anadolu Efes Biracılık ve Malt Sanayii A.Ş..

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლუდისა და გაზიანი გამაგრილებელი სასმელების წარმოება და საბითუმო ვაჭრობა საქართველოში და საზღვარგარეთ. კომპანია ექსპორტს ახორციელებს 20-ზე მეტ ქვეყანაში. კომპანიის საწარმოო ობიექტები ძირითადად მდებარეობს სოფელ ნატახტარში, საქართველოში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება განსხვავებულ რისკებს, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესებზე საქართველოში, განაგრძობენ სწრაფად განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოებით, რომლებიც ექვემდებარება არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გახსნა, შესაძლებელია არსებობდეს მეტის მოლოდინი, რადგან საქართველოს ევროკავშირში

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა ვითარდება.

COVID-19. 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიის საპასუხოდ, COVID-19-ის გავრცელებისა და ზეგავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო შესაბამისი ზომები, როგორებიცაა კარანტინი, თვითიზოლაცია, სამოგზაურო და ბიზნეს საქმიანობის სხვა შეზღუდვები, მათ შორის საქმიანობის შეწყვეტა. ზოგიერთი ზემოაღნიშნული შეზღუდვა შემდგომში შემსუბუქდა.

ომი რუსეთს და უკრაინას შორის. 2022 წ. 24 თებერვალს რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. საერთაშორისოდ აღიარებული როგორც ომი, ეს შემოჭრა წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილეს საომარ თავდასხმას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამას მოჰყვა ევროპის უმსხვილესი დევნილთა კრიზისი, რადგან მილიონობით უკრაინელმა დატოვა მშობლიური ქვეყანა. უკრაინაში ომის გამო ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ გამოაცხადა რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციების შემოღების შესახებ, რამაც გამოიწვია რუბლის კურსის მკვეთრი ვარდნა უცხოური ვალუტების მიმართ, ასევე სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსეთის და რუსეთის კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება. ბევრმა უცხოურმა კომპანიამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა რუსეთსა და ბელარუსში. სიტუაცია ჯერ არ არის ბოლომდე განსაზღვრული, მაგრამ უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზიანი უკარინაში, რუსეთში და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილშიც.

არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე გრძელვადიანი სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხოლო ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

კლიმატური ცვლილებების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს კლიმატური ცვლილებების პოტენციურ ზეგავლენას მსოფლიოს მასშტაბით. ჯერჯერობით იგი არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობის და ბიზნეს გეგმების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მოახდენს სათანადო რეაგირებას კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფისთვის, იგი შეასრულებს მთავრობის ყველა შესაბამის მითითებას, როცა და თუ ისინი მოცემული იქნება იმ ბაზრისთვის, რომლის ფარგლებში ფუნქციონირებს კომპანია.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ მე-5 შენიშვნა.
ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომლებიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან, წარმოდგენილია „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების" ნაწილში, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ყველა სხვა სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - „სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო". წლის ბოლოს არსებული განაკვეთებით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით.
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი 1 = 2,6894 ლარი და ევრო 1 = 2,9753 ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2,7020 ლარი, ევრო 1 = 2,8844 ლარი). ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ან დაგროვილი გაუფასურების თანხით, საჭიროებისამებრ. ძირითადი საშუალებები მოიცავს მშენებარე აქტივებს სამომავლოდ ძირითად საშუალებებად გამოყენებისთვის. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება მუხლების შეძენას.
შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია კომპანიის მიერ მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი საჭიროებისამებრ აღდგება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებული შეფასებების ან გასვლის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებას.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, სხვა შემოსულობაში/(ზარალში), ნეტო.

ცვეთა. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების გადასანაწილებლად ნარჩენ ღირებულებასა და სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	6 -დან 15-მდე
ავტომობილები	4 -დან 7-მდე
ავეჯი და მოწყობილობები	2 -დან 7-მდე
სავაჭრო აღჭურვილობა	2-დან 5-მდე
სხვა	2 -დან 7-მდე

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს სხვადასხვა ოფისებსა და ავტომობილებს. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, საიჯარო და არა საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ხელშეკრულებით განსაზღვრულ საზღაურს მიაკუთვნებს საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებს მათ შესაბამის განცალკევებულ ფასზე დაყრდნობით.

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- აქტივის იჯარის შეთანხმების მოთხოვნის შესაბამის მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანია გონივრულად დარწმუნებულია შესყიდვის ოფციონის განხორციელებაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება საიჯარო აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლების მუხლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები (ოფისი)	2
ავტომობილები	3 -დან 4-წლამდე

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, სავაჭრო ნიშნებს და ლიცენზიებს.
შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები და სავაჭრო ნიშნები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე.
არამატერიალურ აქტივების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	7-დან 10 წლამდე
სხვა	7-დან 10 წლამდე

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და გასხვისების ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდესამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივების, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურების საკითხი განიხილება, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებს, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის მოწესრიგებული ტრანზაქციის დროს შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის ფასი აქტიურ ბაზარზე.
იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტრებულ ფასზე.
ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა განსაზღვრული საწყისი აღიარებისას, გამოკლებული ძირითადი თანხის დაფარვა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ("ECL")
ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში ახორციელებს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივების ჯგუფისათვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება, და როგორ ხდება მენეჯერებისთვის კომპენსაციის გადახდა.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - *ფულადი ნაკადების მახასიათებლები.* როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI").

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-
შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.
კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. შენიშვნა 23 შეიცავს ინფორმაციას ECL-ის გაზომვისას გამოყენებული მიდგომების, დაშვებებისა და შეფასების ტექნიკის შესახებ, მათ შორის ახსნა-განმარტებას, თუ როგორ აერთიანებს კომპანია მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას ECL მოდელებში.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანიამ ამოწურა ყველა პრაქტიკული აღდგენის ძალისხმევა და დაასკვნა, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს ინდიკატორების აღიარებას, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი, აღნიშნული მოიცავს, სხვათა შორის, მოვალის ვალდებულებების შეუსრულებლობას კომპანიიის მიმართ და 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო გადახდების შეუსრულებლობას. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება სააღსრულებო საქმიანობას, როდესაც კომპანია ცდილობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების აღდგენას, თუმცა, არ არსებობს გონივრული აღდგენის მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების გაუქმება. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივების გამოსყიდვა ხდება ან სხვაგვარად იწურება აქტივებიდან ფულადი ნაკადების უფლებები, ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადებზე ან გააფორმა შეთანხმება კვალიფიციური გადაცემის შესახებ, (i) ასევე საკუთრებაში არსებული აქტივების ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა, ან (ii) არსებითი საკუთრების ყველა რისკისა და სარგებელის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, მაგრამ კონტროლის შენარჩუნების გარეშე. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - გაზომვის კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული’ (‘AC’).

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების გაუქმება. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება ხდება მათი ამოწურვისას (ანუ როცა ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმებულია ან იწურება).
ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს

შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადების მიღებისათვის, რომლებიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია ("FVTPL").
შეზღუდული ნაშთები გამორიცხულია ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებიდან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ზარალის ანარიცხი განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით (იხილეთ შემდგომი პოლიტიკა ამ კუთხით სექციაში „ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის").

ვადიანი დეპოზიტები. ვადიანი დეპოზიტები არის დეპოზიტები, რომლებიც ინახება ბანკებში, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე მეტია. ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან წარმოდგენილია როგორც „ფინანსური შემოსავალი" მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ზარალის ანარიცხის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით (იხილეთ შემდგომი პოლიტიკა ამ კუთხით სექციაში „ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის")

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
სახელშეკრულებო ვალდებულებები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდების ვალდებულებას და აღიარდება კონტრაჰენტისგან ფულადი სახსრების მიღების დღეს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების დავალიანებებით.

შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია მთელ რიგ იჯარებში კომპანიის შიგნით. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება აქვს კომპანიას და შესაბამის მეიჯარეს.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

სესხის აღების ზრდის განაკვეთის დასადგენად საწყის წერტილად გამოიყენება კომპანიის მიერ მიღებული ბოლო მესამე მხარის დაფინანსება, რომელიც მორგებულია მესამე მხარის დაფინანსების მიღების შემდეგ დაფინანსების პირობებში ცვლილებების ასახვაზე.

იჯარის გადასახადები ნაწილდება ძირითად და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში ისე, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული პერიოდისთვის ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე.

აღჭურვილობისა და მანქანების მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების აქტივების ყველა იჯარა აღიარებულია წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარა არის იჯარა 12 თვის ან ნაკლები ვადით. დაბალი ღირებულების აქტივები მოიცავს 5 ათასი ლარის ან ნაკლები ღირებულების მცირე საოფისე ფართებს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე,

იმავე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა და პერიოდისა, როდესაც დივიდენდის გადახდა მოხდა.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო ჩათვლებით, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე, ან ფიზიკურ პირებზე ანარარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების შესაძლებლობის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, აღირიცხება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა, საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციების კორექტირება პროცენტებთან და ჯარიმებთან მიმართებაში აღირიცხება ფინანსური ხარჯებსა და სხვა შემოსულობა/(ზარალში) წმინდად, შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გაყიდვებსა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბრუტო საფუძველზე და განმარტებით შენიშვნაში ცალკე აისახება, როგორც აქტივი და ვალდებულება. როდესაც მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხია

შექმნილი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ წარმოების ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური საოპერაციო მწარმოებლურობის საფუძველზე), მაგრამ გამორიცხავს ნასესხები სახსრების ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის შეფასებული ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობისას, რომელიც შემცირებულია დასრულების და გაყიდვის შეფასებული ხარჯებით. სარეალიზაციო პუნქტებში სარეკლამო მასალებთან დაკავშირებული დაბალი ღირებულების მარაგები, რომელთა საშუალო ფასია 15 ლარი, პირდაპირ აღიარდება ხარჯად შესყიდვის დროს.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

განთავსებული სააქციო კაპიტალი. განთავსებული სააქციო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის, განთავსებული კაპიტალის, საკუთრების და ა.შ. ცვლილებები) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილებით.

საემისიო შემოსავალი. საემისიო შემოსავალი წარმოადგენს მიღებულ შენატანებს, რომელიც აჭარბებს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ტესტირება ხდება, რათა შემცირდეს შეფასებულ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობა.

ECL მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ისევე როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, ეს პროგნოზები და ხდომილების ალბათობები ექვემდებარება მაღალი ხარისხის თანდაყოლილ განუსაზღვრელობას, ამიტომ ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან. კომპანიის აზრით ეს პროგნოზები შესაძლო შედეგების საუკეთესო შეფასებაა და ის კომპანიის სხვადასხვა პორტფელის ფარგლებში არაწრფივობასა და ასიმეტრიებს აანალიზებს, რათა დაადგინოს, შერჩეული სცენარები, შესაძლო სცენარების სპექტრის შესაფერისად, წარმომადგენლობითია თუ არა.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს თავის მეთოდოლოგიასა და დაშვებებს, რათა შეამციროს შეფასებულ და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის განსხვავება. ეს შემოწმება წელიწადში ერთხელტარდება.

ECL-ის შეფასების მეთოდოლოგიის შემოწმების შედეგების შესახებ ინფომრაციას აწვდიან კომპანიის ხელმძღვანელობას და მოდელებისა და დაშვებების დახვეწის ღონისძიებები განისაზღვრება უფლებამოსილი პირების მიერ განხილვის შემდეგ.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებებისშემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებით ხელმძღვანელობა ვალუტების მიხედვით ადგენს რისკის ზღვრულ დონეს, როგორც ერთდღიანი, ისე დღიური პოზიციებისათვის, რისი მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2023 წლის 31 დეკემბერი			2022 წლის 31 დეკემბერი		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ლარი	31,457	(22,288)	9,169	27,952	(8,001)	19,951
აშშ დოლარი	30,446	(30,786)	(340)	10,403	(51,094)	(40,691)
ევრო	2,765	(7,541)	(4,776)	6,861	(12,089)	(5,228)
რუბლი	855	(600)	255	--	--	--
სულ	**65,523**	**(61,215)**	**4,308**	**45,216**	**(71,184)**	**(25,968)**

ზემოთხსენებული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ ინვესტიციები არაფულად აქტივებში სავალუტო რისკის არსებით ზრდას არ გამოიწვევს.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს მოგებისა და ზარალის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების შესაძლო ცვალებადობის მიმართ, რომლებიც გამოყენებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის სამუშაო ვალუტასთან დაკავშირებით, ყველა სხვა ცვლადების უცვლელად დარჩენის შემთხვევაში:

ათასი ლარი	**2023 წლის 31 დეკემბერი**	**2022 წლის 31 დეკემბერი**
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(68)	(8,138)
აშშ დოლარის გაუფასურებაა 20%-ით	68	8,138
ევროს გამყარება 20%-ით	(955)	(1,046)
ევროს გაუფასურება 20%-ით	955	1,046

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჟა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და აწესებს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ფასწარმოქმნის შეუსაბამობის დონეზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით.

ათასი ლარი	**მოთხოვნა 1 თვემდე**	**1-დან 6 თვემდე**	**6-დან 12 თვემდე**	**1 წელზე მეტი**	**სულ**
2023 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	54,491	11,032	--	--	65,523
სულ ფინანსური ვალდებულებები	(20,800)	(25,828)	(13,908)	(679)	(61,215)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბერს	**33,691**	**(14,796)**	**(13,908)**	**(679)**	**4,308**
2022 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	43,382	1,834	--	--	45,216
სულ ფინანსური ვალდებულებები	(17,973)	(13,388)	(39,322)	(501)	(71,184)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის სხვაობა 2022 წლის 31 დეკემბერს	**25,409**	**(11,554)**	**(39,322)**	**(501)**	**(25,968)**

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელ ცვლილებებზე, რაც გამოიხატება საპროცენტო თანხების ზრდით მოზიდული სახსრების მიმართ ან გამოყოფილი სახსრებიდან მიღებული შემოსავლის შემცირებით. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მართვის ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები. კომპანიას არ გააჩნია მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივები.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკს მართავს კომპანიის ფინანსური გუნდი. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს ნასესხებ სახსრებს, იჯარებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანია თანხების ინვესტირებას ახორციელებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე სწრაფად და მშვიდად რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 12) ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულად სახსრებს, საბანკო დეპოზიტებს შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფულად სახსრებად ერთი დღის განმავლობაში, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ფინანსური გუნდი ახორციელებს ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს და რეგულარული ლიკვიდურობის სტრესის ტესტირებას სხვადასხვა სცენარით, რომლებიც მოიცავს როგორც ჩვეულებრივ, ისე მკაცრ საბაზრო პირობებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის მთლიანი იჯარის ვალდებულებებს (სამომავლო ფინანსური ხარჯების გამოქვითვამდე), მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, განმარტებით შენიშვნებში ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	5,353	7,755	6,540	--	19,648
საიჯარო ვალდებულებები	87	429	490	679	1,685
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 16)	16,434	16,242	6,834	--	39,510
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**21,874**	**24,426**	**13,864**	**679**	**60,843**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	5,388	--	34,273	-	39,661
საიჯარო ვალდებულებები	77	237	174	576	1,064
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 16)	12,508	10,624	8,367	-	31,499
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხისა და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**17,973**	**10,861**	**42,814**	**576**	**72,224**

24. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვადაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა იყო 89,040 ათასი ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: 53,868 ათასი ლარი).

25. რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მე-3 დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. იმ აქტივების და ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2023 წლის 31 დეკემბერი				2022 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	1დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1 დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	35,439	-	35,441	-	27,385	-	27,385
- ვადიანი ანაბრები	-	4,034	-	4,034	-	-		
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	25,975	25,975	-	-	17,831	17,831
მოთხოვნები აქციონერისაგან	-	-	75	75	-	-	-	-
სულ აქტივები	**2**	**39,473**	**26,050**	**65,525**	**-**	**27,385**	**17,831**	**45,216**
ვალდებულებები	-	-	20,030	20,030	-	-	38,865	38,865
- ნასესხები სახსრები								
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	39,353	39,353	-	-	31,291	31,291
- სხვა დარიცხული ვალდებულებები	-	-	157	157	-	-	208	208
სულ ვალდებულებები	**-**	**-**	**59,540**	**59,540**	**-**	**-**	**70,364**	**70,364**

რეალური ღირებულები იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებში შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების,

რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

26. ფინანსური დოკუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური დოკუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (ბ) სავალო დოკუმენტები FVOCI-ით, (გ) წილობრივი დოკუმენტები FVOCI-ით და (დ) ფინანსური დოკუმენტები ამორტიზებული ღირებულებით AC. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ დოკუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მოხვდა ამორტიზირებული ღირებულებით (AC) შეფასებულის კატეგორიაში და კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარდა ამორტიზირებული ღირებულებით.

27. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანიგავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო

გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი		2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	196	114
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საბოლოო მესაკუთრე	(5,367)	(845)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	(63)	(32)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარეები	(170)	(174)
ნასესხები სახსრები	უშუალო მშობელი კომპანია	(20,030)	(38,865)

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ათასი ლარი		2023	2022
საქონლის გაყიდვა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,428	930
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შეძენა	საბოლოო მესაკუთრე	(3,525)	(2,860)
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შეძენა	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	(7,783)	(3,827)
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შეძენა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	(30)
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შეძენა	სხვა დაკავშირებული მხარეები	(981)	(1,089)
ხელმძღვანელობის საფასურის ხარჯი	საბოლოო მესაკუთრე	(2,665)	(1,970)
სხვა მომსახურებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	(14)
საპროცენტო ხარჯი	უშუალო მშობელი კომპანია	(2,646)	(1,845)

სხვა დაკავშირებული მხარეები მოიცავს უშუალო მშობელი კომპანიის ცალკეული აქციონერების პირდაპირი ან ირიბი კონტროლის ქვეშ ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებს.

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. მთავარი ხელმძღვანელი პირები შედგება კომპანიის დირექტორებისგან. მთავარი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი კომპენსაცია სრულ განაკვეთზე აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციებზე მომსახურებისთვის შედგება სახელშეკრულებო ხელფასებისგან, პრემიებისა და არაფულადი სარგებლისგან 4,733 ათასი ლარის ოდენობით (2022 წ.: 4,018 ათასი ლარი).

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ცვლილებები მთავარი ხელმძღვანელი პირების შემადგენლობაში. 2024 წ. 1 თებერვლიდან კომპანიის ფინანსური დირექტორი გახდა დილარა ერდოღანი, ჩაგრი ქაიას სანაცვლოდ.

ნასესხები სახსრები. 2024 წელს, ფინანსური ანგარიშგების გაცემამდე კომპანიამ Efes Breweries International B.V.-ს გადაუხადა დაუფარავი ნასესხები სახსრები 6,500 მლნ დოლარის ოდენობით.

განთავსებული კაპიტალი. 2024 წლის 29 იანვარს, Efes Breweries International B.V.-ს მთლიანად შეიტანა განთავსებული სააქციო კაპიტალის ოდენობა.

მმართველობის ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია

სს ლომისი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1997 წლის 16 მაისს და მდებარეობს საქართველოს რესპუბლიკაში. კომპანია წარმოადგენს დახურულ სააქციო საზოგადოებას, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო Efes Breweries International N.V. ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი Anadolu Efes Group.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში და საზღვარგარეთ ლუდისა და გაზიანი გამაგრილებელი სასმელების წარმოება, გაყიდვა და მარკეტინგი. კომპანიის საწარმოო ობიექტები მდებარეობს სოფელ ნატახტარში, საქართველოში.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი.

კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 437 და 388.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს ლუდის 13 ბრენდს, როგორიცაა ნატახტარი, ნატახტარი ექსტრა, ქარვა, კასრის, ტაატი, სტაროპრამენი, ლოვენბრაუ, მათ შორის იმპორტირებული ბრენდები: ეფესი, სტელა არტუა, ლეფე, ჰოეგარდენი, კორონა და ბექს. EFES Georgia აწარმოებს ნატახტარის ლიმონათის სხვადასხვა არომატს და ნატახტარის „ზიგზაგის“ მიქსებს. გარდა ამისა, ჩვენ მომხმარებლებს ვთავაზობთ ენერგეტიკულ სასმელს სახელწოდებით „პიკი“.

კომპანია ოპერირებს როგორც შიდა ბაზარზე, ასევე ახორციელებს პროდუქციის ექსპორტს 20-ზე მეტ ქვეყანაში. სადისტრიბუციო მომსახურებას, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხო ქვეყნებში, ახორციელებენ მესამე მხარეები - დილერი კომპანიები.

კორპორატიული მმართველობა

სს „ლომისი“ არის დეცენტრალიზებული საწარმო, რომელსაც მართავს ადგილობრივად დანიშნული დირექტორთა ჯგუფი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური გადაწყვეტილებები მიიღება ადგილობრივად, ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას განიხილავს სათავო ოფისში - Efes Breweries International N.V. განთავსებული დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის, ფინანსური დირექტორისა და სხვა მთავარი ხელმძღვანელი პირებისგან.

სს „ლომისის“ ორგანიზაციული სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:



ხელმძღვანელობას მტკიცედ სჯერა, რომ კომპანიის მიზნების ინდივიდუალურ შესრულებასთან შესაბამისობა წარმატების გასაღებია. ამრიგად, კომპანიამ შეიმუშავა და დანერგა შესრულების მართვის სისტემა, რომელიც განსაზღვრავს შესრულების მიზნებს კომპანიის საერთო მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, რომლებიც კასკადის პრინციპით ვრცელდება დეპარტამენტებსა და შესაბამის თანამშრომლებს შორის.

ბაზრის მიმოხილვა

ლუდის ინდუსტრია საქართველოში წარმოადგენს საკმაოდ კონკურენტუნარიან ბაზარს და შედგება:

- 4 მსხვილი მწარმოებლისაგან და რამდენიმე იმპორტიორისაგან, 50-ზე მეტი მცირე მწარმოებლისაგან/მიკრო-ლუდსახარშისაგან;
- ჭარბი საწარმოო სიმძლავრეები:საწარმოო სიმძლავრეები შეადგენს 400 მიოს/ლიტრი - 130 მიო/ლიტრის ლუდის ბაზარი;
- ყველა მსხვილი მწარმოებელი ამავდროულად წარმოადგენს ლიმონათის ექსპორტიორს;
- 136 ბრენდი და 360 SKUs (ასორტიმენტის პოზიცია) არსებობს მხოლოდ ლუდის კატეგორიაში (180 SKU ადგილობრივი წარმოება და ასევე ხორციელდება იმპორტი 18 ქვეყნიდან).

არსებული გარემოებების გათვალისწინებით, ბაზრის მოთამაშეებს შორის კონკურენცია უფრო ინტენსიური ხდება მარკეტინგისა და ვაჭრობისთვის გაწეული დიდი დანახარჯების თანხლებით. ლუდი იბეგრება აქციზით, რომელიც ცვალებადია და შეადგენს 0,12 ლარს ალკოჰოლის ყოველ გრადუსზე. გაზიანი გამაგრილებელი სასმელების ბაზარი ბევრად უფრო მრავალფეროვანია ბრენდების თვალსაზრისით და ჰყავს შემცვლელები, როგორიცაა კოლა, ენერგეტიკული სასმელები და წვენები. ამის გამო, კომპანია ბაზრის წილის ტენდენციებს ცალ-ცალკე მიჰყვება, როგორც ლიმონათის, ისე გაზიანი გამაგრილებელი სასმელების სეგმენტში.

საბაზრო პირობებიდან, ბრენდის პოზიციონირების სტრატეგიიდან და კონკურენტების ანალიზიდან გამომდინარე - ფასებზე გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელობა. ფასდაკლებები და სავაჭრო აქციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ბაზარზე პოზიციების შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად. ნედლეულისა და შესაფუთი მასალის ძირითადი მარაგები იმპორტირებულია საზღვარგარეთიდან, ძირითადად თურქეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, ევროკავშირიდან და ა.შ.

ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საოპერაციო ხარჯებისა და ზედნადები ხარჯების დაზოგვის გზით, კომპანიამ გააუმჯობესა

EBITDA, მიუხედავად გაცვლითი კურსის რყევებისა, პერიოდის მოგება გაიზარდა წინა წელთან შედარებით. საბრუნავი კაპიტალის უკეთესი მართვისა და უკეთესი რეალიზაციის გამო, კომპანიას ჰქონდა სტაბილური საოპერაციო ფულადი ნაკადების შემოდინება 2023 წელს. სტაბილური საოპერაციო ფულადი ნაკადების შემოდინება გამოყენებული იქნა დაუფარავი ნასესხები სახსრების შესამცირებლად კომპანიის დე-ლევერიჯიზაციისთვის 2023 წელს.

ხარისხის კონტროლი

კომპანიისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი პროდუქციის ხარისხია. მაღალი ხარისხის სტანდარტების შესანარჩუნებლად ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება ხარისხის პარამეტრებს როგორც ბაზარზე, ასევე საწარმოო ობიექტებში. ანალოგიურად, ხარისხის კონტროლი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს.

კომპანია სერტიფიცირებულია შემდეგი ISO სერთიფიკატებით, რომლებიც მოიცავს ჯანმრთელობის, ხარისხისა და უსაფრთხოების საკითხებს:

- **ISO 9001 –** ხარისხის მართვის სისტემები;
- **ISO 22000 –** სურსათის უვნებლობის მართვის სისტემები;
- **ISO 180001-** სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შეფასების ცხრილი
- **ISO 50001** – ენერგიის მართვის სისტემები;
- **ISO 17025 –** ტესტირებისა და კალიბრაციის ლაბორატორიები

ყველა ამ სერტიფიკატის არსებობის პირობებში, კომპანიამ დანერგა პროცესები და მართვის სისტემები, რათა უზრუნველყოს ხარისხის სტანდარტების შესაბამისი დონე.

რისკების მართვა

ზოგადი მიმოხილვა

კომპანიის ხელმძღვანელობა პერიოდულად განიხილავს და მონიტორინგს უწევს მთავარ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნესთან და მთლიან ინდუსტრიასთან და იყენებს შესაბამის შემარბილებელ გეგმებს ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. ამ იდეის მხარდასაჭერად კომპანია ნერგავს საწარმოთა რისკების მართვის სისტემას, რომლის მიხედვითაც ხდება ყველა შესაბამისი ფუნქციური რისკის გამოვლენა თითოეული დეპარტამენტის მიერ, შეფასებული და შესაბამისი შემარბილებელი გეგმები ინტეგრირებულია ბიზნეს გეგმებში. ყველა რისკი პერიოდულად განიხილება და სტრუქტურულად შეფასდება ტოპ-მენეჯმენტის მიერ. ხელმძღვანელობის მიერ რეალური შედეგების მიმოხილვის საფუძველზე, შემარბილებელი გეგმები შესაძლოა განახლდეს. ყველა რისკი შესაბამისი შემარბილებელი სამოქმედო გეგმებით აისახება საწარმოთა რისკების მართვის სისტემაში, შესაბამის ვადებთან და პასუხისმგებელ პირებთან ერთად.

მზარდი კონკურენცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლუდის მწარმოებელ ადგილობრივ კომპანიებს შეუძლიათ შექმნან ბაზრის რეალურ მოთხოვნასთან შედარებით ჭარბი წარმოება, რაც, თავის მხრივ, იწვევს მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯების გაზრდას, ასევე მარჟების დაწევას.

მზარდი კონკურენციით გამოწვეული პოტენციური რისკის შესამცირებლად კომპანია

სისტემატურად ნერგავს ახალი პროდუქტის განვითარების გეგმებს, აქტიურ მარკეტინგულ კამპანიებს და ვაჭრობის გააქტიურების გეგმებს, რათა შეინარჩუნოს და გაამლიეროს ლიდერის პოზიცია ბაზარზე.

საცალო მოვაჭრეების გაზრდილი ძალაუფლება მომრიგებისას

მომხმარებელთა ქცევის ცვლილება და თანამედროვე ვაჭრობის კონსოლიდაცია იწვევს საცალო მოვაჭრეების ძალაუფლების გაზრდას და მათ მიმართ მწარმოებელი კომპანიების ძალაუფლების შემცირებას მორიგებებისას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დაინტერესებულ მხარეებთან ღირებულების ჯაჭვის მეშვეობით ურთიერთობების დამყარება და გაძლიერება გადამწყვეტია რისკის შესამცირებლად. გარდა ამისა, მორგებული მომგებიანობის ანალიზი, რომელიც, დინამიური გარემოს გათვალისწინებით, მიმართულია არაეფექტურობის იდენტიფიცირებისა და დამუშავებისკენ და ვაჭრობის ხელშეწყობის და აქტივაციის პოლიტიკის სწრაფად კორექტირებისკენ, გადამწყვეტი პროცესია ამ რისკის მოსაგვარებლად.

სავალუტო რისკი

იმპორტირებული საქონლის მაღალი შემადგენლობა წარმოების პროცესში გამოყენებულ ნედლეულსა და შესაფუთ მასალებში, სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო იწვევს მნიშვნელოვან გადახრებს მომგებიანობაში.

კომპანია, ზემოქმედების შესამცირებლად, იყენებს ჰეჯირების რამდენიმე ინსტრუმენტს, როგორიცაა უცხოური ვალუტის ფულის შემოდინებისა და გადინების ერთმანეთთან მიახლოება, ექსპორტის გაყიდვების გაზრდით და ვალუტაში ღია პოზიციის რისკისადმი დაქვემდებარების შემცირებით. გარდა ამისა, შესყიდვების ჯგუფი მუდმივად ეძებს ადგილობრივ მომწოდებლებს, რათა შეიცვალოს იმპორტის წვლილი ხარჯების სტრუქტურაში. კომპანიამ ასევე საგრძნობლად შეამცირა უცხოურ ვალუტაში არსებული ვალების რისკისადმი დაქვემდებარება ბოლო წლებში, უცხოურ ვალუტაში სესხის ეტაპობრივი დაფარვის პრინციპის გამოყენებით.

ლიკვიდურობის რისკი

ის ფაქტი, რომ კომპანიის შესყიდვებისა და გაყიდვების გადახდის პროცესი ერთმანეთს ზუსტად არ ემთხვევა, იწვევს ლიკვიდურობის პოტენციურ რისკებს. რისკის სიმძიმის მისაღებ დონემდე შესამცირებლად კომპანია იყენებს საბრუნავი კაპიტალის მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტებს. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფულადი ნაკადების თავისუფალ მართვას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ დაიწყო საკრედიტო გადახდის პროცესის ოპტიმიზაცია, რაც კომპანიას აძლევს მეტ თავისუფლებას ფულადი თანხების ეფექტური მართვისთვის.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ფულადი ნაკადების წარმოქმნის და კრედიტების მართვის ძლიერი პროცესი კომპანიას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის მისაღებ დონეზე დატოვებაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

მშობელი საწარმოსგან ნასესხებ სახსრებზე მცოცავი სასესხო განაკვეთის არსებობა კომპანიას უქმნის საპროცენტო განაკვეთის რისკს. ხელმძღვანელობამ ეს რისკი შეამცირა ბოლო წლებში წლიური მოგების მნიშვნელოვანი ოდენობის სესხის დაფარვაზე მიმართვის გზით. გასულ წლებში Libor განაკვეთის თანდათანობითი მატების გამო რისკი კიდევ უფრო გამწვავდება. ხელმძღვანელობა აპირებს მინიმუმამდე დაიყვანოს რისკი ფიქსირებული და მცოცავი განაკვეთის მქონე ვალების დაბალანსებული პორტფელის არსებობით, თუ განაკვეთები კვლავ გაიზრდება.

სასაქონლო ფასის რისკი

გაყიდული საქონლის ღირებულება ძირითადად შედგება მასალებისგან, რომელთა ფასი მჭიდროდ არის დაკავშირებული მსოფლიო სასაქონლო ფასებთან, ამიტომ ნებისმიერმა გადახრამ შეიძლება გამოიწვიოს მოგების მნიშვნელოვანი რყევა. ყოველი ფინანსური წლის დასაწყისიდან, შესყიდვების დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული მომწოდებლებთან მოლაპარაკებების პროცესში,
რათა ფასები მაქსიმალურად დაფიქსირდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რათა თავიდან იქნას აცილებული სასაქონლო ფასებში მოულოდნელი რყევები.

სამომავლო პერსპექტივები

კომპანია მიზნად ისახავს გააძლიეროს ლიდერის მისი პოზიცია ლუდისა და ლიმონათის შიდა ბაზრებზე, ბრენდის პორტფელში და კომერციულ შესაძლებლობებში ინვესტირების გაგრძელებით. კომპანია მიზნად ისახავს ქართველი მომხმარებლებისთვის ახალი პროდუქტების, ინოვაციური დიზაინისა და ახალი გემოების წარდგენას არა მხოლოდ ლუდის კატეგორიაში, არამედ სხვა კონკურენტულ კატეგორიებში.
გულმოდგინე შესრულებასთან ერთად, ძლიერი და ყოვლისმომცველი პორტფელის წყალობით, კომპანიამ შეძლო 2023 წელს გაყიდვებისა და მოგების გაზრდა. ხელმძღვანელობა მოელის ლუდისა და გამაგრილებელი სასმელების ბაზარზე დადებითი ტენდენციის შენარჩუნებას, შესაბამისად, გაგრძელდება ინვესტირება საწარმოო სიმძლავრის გაზრდის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ყველა ლუდსახარშის საწარმოო სიმძლავრე კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება ადგილობრივ ბაზრის მოთხოვნებს, ხელმძღვანელობა მოელის, რომ კონკურენცია ლუდის ყველა მწარმოებელს შორის გაგრძელდება, შესაბამისად ხელმძღვანელობა გააგრძელებს მოქნილობის გაუმჯობესებას და ყურადღებას გაამახვილებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე.
კომპანია 2024 წელს ელოდება ექსპორტის მოცულობების ზრდას „ნატახტარის ლიმონათის“ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის უწყვეტი ძალისხმევის წყალობით.

სოციალური პასუხისმგებლობა

კორპორატიული პასუხისმგებლობა განცხადებულია „EFES Georgia”-ს პრიორიტეტად, რაც შეესაბამება გაეროს მიერ დასახულ მდგრადი განვითარების მიზნებს. EFES Georgia 2008 წლიდან ახორციელებს კორპორატიული პასუხისმგებლობის პროექტებს შემდეგ სფეროებში: თემის მხარდაჭერა, გარემოს დაცვა და სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა.

2011 წელს კომპანიამ შექმნა ნატახტარის ფონდი, რომლის მიზანია მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. პროექტის განხორციელების პარტნიორია არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველო“. 2011 წლიდან ფონდმა დახარჯა 1 მილიონი ლარზე მეტი თანხა 700 ბენეფიციარის მხარდაჭერისთვის, მათგანის 90% დასაქმებულია და 400 პირზე მეტს მიღებული აქვს პროფესიონალური ან უმაღლესი განათლება.

EFES Georgia წარმოადგენს პირველ კომპანიას, რომელიც მონაწილეობს ტყის მეგობრების მოხალისეთა პლატფორმაში, რომლის საქმიანობა მიმართულია საქართველოს ტყეების შენარჩუნებისკენ. ტყის მეგობრეების ინიციატივის ნაწილის სახით, EFES-მა მთლიანად დააფინანსა თიანეთის სატყეო რაიონში 12 ჰექტარის ტყის აღდენა.

EFES Georgia-მ ასევე განახორციელა მდგრადი მეწარმეობის პროგრამა GO Green, Impact Hub Tbilisi-თან და Startup Buro-სთან თანამშრომლობით. პროგრამა ხელს უწყობს საქართველოში მდგრადი მეწარმეობის განვითარებას და ამ მიმართულებით ეხმარება სტარტაპ კომპანიებს და ფიზიკურ პირებს.

2012 წლიდან EFES Georgia იყენებს ჩამდინარე წყლის გამწმენდ ბიოლოგიურ ნაგებობას, რის შედეგად კომპანია გარდაქმნის წარმოების მთელი ციკლისთვის გამოყენებულ წყალს სუფთა წყლად. აღნიშნული თექნოლოგია მსოფლიოში აღიარებულია ერთერთ საუკეთესოდ ლუდსახარშეებისთვის. ამ ტექნოლოგიის გამოყენებით მიიღწევა მაღალი ხარისხის გაწმენდა და უზრუნველყოფილია წყლის შესაბამისობა ევროკავშირის მოთხოვნებთან, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოზე მავნებელ ზეგავლენას.

2024 წლის 4 ივლისი

ველი დინჩელი / ხელმოწერილია/	დილარა ერდოღანი / ხელმოწერილია/
_____	_____
გენერალური მენეჯერი	ფინანსური დერექტორი

სს „ლომისი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წ. 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ---------- 1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ---------- 2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება---------- 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ---------- 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი საქმიანობა ---------- 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო ---------- 5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები---------- 6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ----------17
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება ---------- 17
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები---------- 21
7 ძირითადი საშუალებები ----------24
8 არამატერიალური აქტივები ----------25
9 მარაგები ---------- 25
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ---------- 26
11 ვადიანი ანაბრები ----------27
12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები-- ----------27
13 განთავსებული სააქციო კაპიტალი ----------28
14 ნასესხები სახსრები ----------29
15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება ----------29
16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ----------30
17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან----------30
18 გაყიდული საქონლის თვითღირებულება----------30
19 დისტრიბუციის ხარჯები ----------31
20 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები----------32
21 ფინანსური შემოსავალი/ხარჯები, ნეტო ----------32
22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები----------33
23 ფინანსური რისკის მართვა ----------34
24 კაპიტალის მართვა ----------40
25 რეალური ღირებულების შეფასება----------41
26 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით--------42
27 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან----------42
28 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები ----------44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ლომისის აქციონერსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს ლომისის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო 405220611
მეფე დავითის ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის #12, მე-7 სართული, თბილისი 0171,
საქართველო, ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

სხვა ინფორმაცია

კომპანიის ხელმძღვანელობა აგებს პასუხს სხვა ინფორმაციისთვის. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს აუდიტის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსური მდგომარეობის შესახებ არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში , გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარდა ამისა, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ჩვენ ვალდებული ვართ გამოვთქვათ ჩვენი აზრი შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განსაზღვროთ, მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენს მიერ შესრულებული აუდიტის საფუძველზე ჩვენი აზრი შემდეგია:

- მმართველობის ანგარიშგება იმ ფინანსური წლის თაობაზე მოცემული ინფორმაცია, რომლისთვის მომზადებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური მდგომარეობის აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ

გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული

განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (რეგ. #SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგ. # SARAS-A-562091) /ხელმოწერილია/

2024 წ. 4 ივლისი
თბილისი, საქართველო

სს „ლომისი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	7	54,984	46,470
ძირითადი საშუალებები	8	3,624	1,750
არამატერიალური აქტივები		2,109	1,274
აქტივის გამოყენების უფლება		1,072	786
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		**61,789**	**50,280**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	21,730	26,023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	29,815	22,624
აქციათა მფლობელისაგან მისაღები თანხები		75	--
ვადიანი ანაბრები	11	4,034	--
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	12	35,439	27,385
სულ მოკლევადიანი აქტივები		**91,093**	**76,032**
სულ აქტივები		**152,882**	**126,312**
კაპიტალი			
განთავსებული სააქციო კაპიტალი	13	100	20
საემისიო შემოსავალი	13	5,441	5,441
გაუნაწილებელი მოგება		83,499	48,407
სულ კაპიტალი		**89,040**	**53,868**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საოჯარო ვალდებულებები		679	489
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**679**	**489**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	20,030	38,865
საოჯარო ვალდებულებები		1,152	448
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	40,730	31,651
სახელშეკრულებო ვალდებულებები		1,251	991
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**63,163**	**71,955**
სულ ვალდებულებები		**63,842**	**72,444**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**152,882**	**126,312**

დამტკიცებულია გაცემისთვის და ხელმოწერილია მმართველობის საბჭოს სახელით 2024 წ. 4 ივლისს.

ველი დინჩელი ხელმოწერილია
გენერალური მენეჯერი

დილარა ერდოღანი ხელმოწერილია
ფინანსური დირექტორი

მე-5 გვერდიდან 30-ე გვერდამდე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ლომისი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	17	**216,438**	**200,429**
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	18	(133,014)	(127,281)
მთლიანი მოგება		**83,424**	**73,148**
სხვა შემოსავალი		2,381	1,378
დისტრიბუციის დანახარჯები	19	(28,142)	(26,190)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(21,590)	(17,775)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსურ აქტივებზე,ნეტო	10	(94)	-
სხვა მოგება/(ზარალი), ნეტო		417	894
საოპერაციო მოგება		**36,396**	**31,455**
ფინანსური შემოსავალი	21	1,481	7,505
ფინანსური ხარჯები	21	(2,785)	(1,932)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**35,092**	**37,028**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**35,092**	**37,028**
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**35,092**	**37,028**

მე-5 გვერდიდან 30-ე გვერდამდე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ლომისი“
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	განთავსებული სააქციო კაპიტალი	საემისიო შემოსავალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი დეფიციტი)	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	20	5,441	11,379	16,840
წლის მოგება	--	--	37,028	37,028
სულ წლის სრული შემოსავალი	--	--	37,028	37,028
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	20	5,441	48,407	53,868
წლის მოგება	--	--	35,092	35,092
სულ წლის სრული შემოსავალი	--	--	35,092	35,092
განთავსებული სააქციო კაპიტალის გაზრდა (შენიშვნა 13)	80	--	--	80
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	5,441	83,499	89,040

მე-5 გვერდიდან 30-ე გვერდამდე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური მდგომრეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „ლომისი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		35,092	37,028
შესწორებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	7,8	12,332	12,950
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	19,20	1,057	974
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	10	94	--
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი		(370)	11
შემცირებული შემოსულობით			
ფინანსური შემოსავალი	21	(780)	(1,026)
ფინანსური ხარჯი	21	2,785	1,932
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების სხვაობები		(1,165)	(7,461)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**49,045**	**44,408**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(7,417)	(5,259)
მარაგების შემცირება/(ზრდა)		4,293	(11,638)
ზრდა სახელშეკრულებო ვალდებულებებში		260	766
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		8,839	10,082
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**5,975**	**(6,049)**
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		780	1,026
გადახდილი პროცენტი		(2,604)	(2,777)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**53,196**	**36,608**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(21,214)	(14,778)
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		558	--
არამატერიალური აქტივების შეძენა	8	(1,980)	(33)
საბანკო ანაბრების განთავსება	11	(3,866)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(26,502)**	**(14,811)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრების დაფარვა	15	(18,315)	(13,174)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა – ძირითადი თანხა	15	(959)	(840)
კაპიტალის შენატანები	13	5	--
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(19,269)**	**(14,014)**
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		629	(2,483)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**27,385**	**22,085**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**35,439**	**27,385**

მე-5 გვერდიდან 30-ე გვერდამდე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, სს ლომისისათვის (შემდგომში „კომპანია").

კომპანია დაარსდა 1997 წლის 16 მაისს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება, შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით 223236013.

კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიაა Efes Breweries International B.V., ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი Anadolu Efes Biracılık ve Malt Sanayii A.Ş..

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლუდისა და გაზიანი გამაგრილებელი სასმელების წარმოება და საბითუმო ვაჭრობა საქართველოში და საზღვარგარეთ. კომპანია ექსპორტს ახორციელებს 20-ზე მეტ ქვეყანაში. კომპანიის საწარმოო ობიექტები ძირითადად მდებარეობს სოფელ ნატახტარში, საქართველოში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილია საქართველო, მცხეთის რაიონი, სოფელი ნატახტარი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება განსხვავებულ რისკებს, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესებზე საქართველოში, განაგრძობენ სწრაფად განვითარებას საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოებით, რომლებიც ექვემდებარება არაერთგვაროვან ინტერპრეტაციას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დიდწილად უკავშირდებოდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გახსნა, შესაძლებელია არსებობდეს მეტის მოლოდინი, რადგან საქართველოს ევროკავშირში

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა ვითარდება.

COVID-19. 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიის საპასუხოდ, COVID-19-ის გავრცელებისა და ზეგავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო შესაბამისი ზომები, როგორებიცაა კარანტინი, თვითიზოლაცია, სამოგზაურო და ბიზნეს საქმიანობის სხვა შეზღუდვები, მათ შორის საქმიანობის შეწყვეტა. ზოგიერთი ზემოაღნიშნული შეზღუდვა შემდგომში შემსუბუქდა.

ომი რუსეთს და უკრაინას შორის. 2022 წ. 24 თებერვალს რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. საერთაშორისოდ აღიარებული როგორც ომი, ეს შემოჭრა წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილეს საომარ თავდასხმას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამას მოჰყვა ევროპის უმსხვილესი დევნილთა კრიზისი, რადგან მილიონობით უკრაინელმა დატოვა მშობლიური ქვეყანა. უკრაინაში ომის გამო ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ გამოაცხადა რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციების შემოღების შესახებ, რამაც გამოიწვია რუბლის კურსის მკვეთრი ვარდნა უცხოური ვალუტების მიმართ, ასევე სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსეთის და რუსეთის კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება. ბევრმა უცხოურმა კომპანიამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა რუსეთსა და ბელარუსში. სიტუაცია ჯერ არ არის ბოლომდე განსაზღვრული, მაგრამ უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზიანი უკარინაში, რუსეთში და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილშიც.

არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე გრძელვადიანი სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, ხოლო ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან.

კლიმატური ცვლილებების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს კლიმატური ცვლილებების პოტენციურ ზეგავლენას მსოფლიოს მასშტაბით. ჯერჯერობით იგი არ ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობის და ბიზნეს გეგმების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მოახდენს სათანადო რეაგირებას კომპანიის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფისთვის, იგი შეასრულებს მთავრობის ყველა შესაბამის მითითებას, როცა და თუ ისინი მოცემული იქნება იმ ბაზრისთვის, რომლის ფარგლებში ფუნქციონირებს კომპანია.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა

3. საღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის საღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომლებიც დაკავშირებულია ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან, წარმოდგენილია „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების" ნაწილში, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ყველა სხვა სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - „სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო". წლის ბოლოს არსებული განაკვეთებით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი 1 = 2,6894 ლარი და ევრო 1 = 2,9753 ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2,7020 ლარი, ევრო 1 = 2,8844 ლარი). ამჟამად ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ან დაგროვილი გაუფასურების თანხით, საჭიროებისამებრ. ძირითადი საშუალებები მოიცავს მშენებარე აქტივებს სამომავლოდ ძირითად საშუალებებად გამოყენებისთვის. ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება მუხლების შეძენას.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია კომპანიის მიერ მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი სამუალებების გაუფასურების რაიმე მიზიშნება. თუ მსგავსი მიზიშნება არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აქტივისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი საჭიროებისამებრ აღდგება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებული შეფასებების ან გასვლის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებას.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, სხვა შემოსულობაში/(ზარალში), ნეტო.

ცვეთა. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების გადასანაწილებლად ნარჩენ ღირებულებასა და სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები	30
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	6 -დან 15-მდე
ავტომობილები	4 -დან 7-მდე
ავეჯი და მოწყობილობები	2 -დან 7-მდე
სავაჭრო აღჭურვილობა	2-დან 5-მდე
სხვა	2 -დან 7-მდე

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს სხვადასხვა ოფისებსა და ავტომობილებს. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, საიჯარო და არა საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ხელშეკრულებით განსაზღვრულ საზღაურს მიაკუთვნებს საიჯარო და არასაიჯარო კომპონენტებს მათ შესაბამის განცალკევებულ ფასზე დაყრდნობით.

აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- აქტივის იჯარის შეთანხმების მოთხოვნის შესაბამის მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლება საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე. თუ კომპანია გონივრულად დარწმუნებულია შესყიდვის ოფციონის განხორციელებაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება საიჯარო აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლების მუხლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა-ნაგებობები (ოფისი)	2
ავტომობილები	3 -დან 4-წლამდე

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, სავაჭრო ნიშნებს და ლიცენზიებს.

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები და სავაჭრო ნიშნები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოყენებისთვის გაწეული ხარჯების საფუძველზე.

არამატერიალურ აქტივების ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	7-დან 10 წლამდე
სხვა	7-დან 10 წლამდე

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და გასხვისების ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდესამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივების, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურების საკითხი განიხილება, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებს, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის მოწესრიგებული ტრანზაქციის დროს შეფასების თარიღისთვის. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის ფასი აქტიურ ბაზარზე.
იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტრებულ ფასზე.
ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იქნა განსაზღვრული საწყისი აღიარებისას, გამოკლებული ძირითადი თანხის დაფარვა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ("ECL")
ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL), თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ამორტიზირებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში ახორციელებს.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივების ჯგუფისათვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება, და როგორ ხდება მენეჯერებისთვის კომპენსაციის გადახდა.

ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI").

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.
კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის გამარტივებულ მიდგომას იყენებს. შენიშვნა 23 შეიცავს ინფორმაციას ECL-ის გაზომვისას გამოყენებული მიდგომების, დაშვებებისა და შეფასების ტექნიკის შესახებ, მათ შორის ახსნა-განმარტებას, თუ როგორ აერთიანებს კომპანია მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას ECL მოდელებში.

ფინანსური აქტივები - ჩამოწერა. ფინანსური აქტივები ჩამოიწერება მთლიანად ან ნაწილობრივ, როდესაც კომპანიამ ამოწურა ყველა პრაქტიკული აღდგენის ძალისხმევა და დაასკვნა, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს ინდიკატორების აღიარებას, რომ არ არსებობს აღდგენის გონივრული მოლოდინი, აღნიშნული მოიცავს, სხვათა შორის, მოვალის ვალდებულებების შეუსრულებლობას კომპანიიის მიმართ და 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული პერიოდის განმავლობაში სახელშეკრულებო გადახდების შეუსრულებლობას. კომპანიას შეუძლია ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება სააღსრულებო საქმიანობას, როდესაც კომპანია ცდილობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების აღდგენას, თუმცა, არ არსებობს გონივრული აღდგენის მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების გაუქმება. კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც (ა) აქტივების გამოსყიდვა ხდება ან სხვაგვარად იწურება აქტივებიდან ფულადი ნაკადების უფლებები, ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადებზე ან გააფორმა შეთანხმება კვალიფიციური გადაცემის შესახებ, (i) ასევე საკუთრებაში არსებული აქტივების ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა, ან (ii) არსებითი საკუთრების ყველა რისკისა და სარგებელის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, მაგრამ კონტროლის შენარჩუნების გარეშე. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აქტივი მთლიანად არადაკავშირებულ მესამე მხარეზე, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები - გაზომვის კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული' ('AC').

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები - აღიარების გაუქმება. ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება ხდება მათი ამოწურვისას (ანუ როცა ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმებულია ან იწურება).
ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს

შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადების მიღებისათვის, რომლებიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია ("FVTPL").
შეზღუდული ნაშთები გამორიცხულია ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებიდან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის ზარალის ანარიცხი განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით (იხილეთ შემდგომი პოლიტიკა ამ კუთხით სექციაში „ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის").

ვადიანი დეპოზიტები. ვადიანი დეპოზიტები არის დეპოზიტები, რომლებიც ინახება ბანკებში, რომელთა თავდაპირველი ვადა სამ თვეზე მეტია. ვადიანი დეპოზიტები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან წარმოდგენილია როგორც „ფინანსური შემოსავალი" მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ზარალის ანარიცხის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით (იხილეთ შემდგომი პოლიტიკა ამ კუთხით სექციაში „ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის")

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
სახელშეკრულებო ვალდებულებები. სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდების ვალდებულებას და აღიარდება კონტრაჰენტისგან ფულადი სახსრების მიღების დღეს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები. იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი საიჯარო გადახდების წმინდა მიმდინარე ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების დავალიანებებით.

შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია მთელ რიგ იჯარებში კომპანიის შიგნით. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება აქვს კომპანიას და შესაბამის მეიჯარეს.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

სესხის აღების ზრდის განაკვეთის დასადგენად საწყის წერტილად გამოიყენება კომპანიის მიერ მიღებული ბოლო მესამე მხარის დაფინანსება, რომელიც მორგებულია მესამე მხარის დაფინანსების მიღების შემდეგ დაფინანსების პირობებში ცვლილებების ასახვაზე.

იჯარის გადასახადები ნაწილდება ძირითად და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში ისე, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული პერიოდისთვის ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე.

აღჭურვილობისა და მანქანების მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების აქტივების ყველა იჯარა აღიარებულია წრფივი მეთოდით, როგორც ხარჯი მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარა არის იჯარა 12 თვის ან ნაკლები ვადით. დაბალი ღირებულების აქტივები მოიცავს 5 ათასი ლარის ან ნაკლები ღირებულების მცირე საოფისე ფართებს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე,

იმავე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა და პერიოდისა, როდესაც დივიდენდის გადახდა მოხდა.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო ჩათვლებით, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე, ან ფიზიკურ პირებზე ანარარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების შესაძლებლობის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული საწარმოებისთვის გადახდილი ავანსების სანაცვლოდ, აღირიცხება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა, საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციების კორექტირება პროცენტებთან და ჯარიმებთან მიმართებაში აღირიცხება ფინანსური ხარჯებსა და სხვა შემოსულობა/(ზარალში) წმინდად, შესაბამისად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გაყიდვებსა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბრუტო საფუძველზე და განმარტებით შენიშვნაში ცალკე აისახება, როგორც აქტივი და ვალდებულება. როდესაც მოთხოვნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხია

შექმნილი, მაშინ გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მთლიანი თანხით, დღგ-ის ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე. მზა პროდუქციის და დაუმთავრებელი წარმოების ღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ წარმოების ზედნადებ ხარჯებს (ნორმალური საოპერაციო მწარმოებლურობის საფუძველზე), მაგრამ გამორიცხავს ნასესხები სახსრების ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის შეფასებული ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობისას, რომელიც შემცირებულია დასრულების და გაყიდვის შეფასებული ხარჯებით. სარეალიზაციო პუნქტებში სარეკლამო მასალებთან დაკავშირებული დაბალი ღირებულების მარაგები, რომელთა საშუალო ფასია 15 ლარი, პირდაპირ აღიარდება ხარჯად შესყიდვის დროს.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

განთავსებული საქციო კაპიტალი. განთავსებული საქციო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის, განთავსებული კაპიტალის, საკუთრების და ა.შ. ცვლილებები) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილებით.

საემისიო შემოსავალი. საემისიო შემოსავალი წარმოადგენს მიღებულ შენატანებს, რომელიც აჭარბებს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის შედეგად. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის

კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების, დღგ-ს და აქციზის გარეშე.ა

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარებულია საქონელზე კონტროლის გადაცემისას, როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს აქვს სრული კონტროლი საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.საქონლის გაყიდვები საექსპორტო ბაზრებზე ეფუძნება ფართოდ

გამოყენებულ სავაჭრო პირობებს (incoterms) გამყიდველსა და მყიდველს შორის. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია გაყიდვის ხელშეკრულებით განსაზღვრული კონკრეტული ინკოტერმსის საფუძველზე.

ფასდათმობით გაყიდვებიდან ამონაგები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული მოცულობითი ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის უზრუნველსაყოფად დაგროვილ გამოცდილებას იყენებენ, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება.

მიიჩნევა, რომ დაფინანსების ელემენტი არ არსებობს, რადგან გაყიდვები 20 დღიანი საკრედიტო პირობით ხორციელდება, რაც ბაზარზე არსებული პრაქტიკის თანმიმდევრულია. მოთხოვნა აღიარდება საქონლის მიწოდებისას, რადგან ეს არის დროის მომენტი, როდესაც ანაზღაურების მიღება უპირობოა, რადგან გადახდის განხორციელების ვადის დადგომამდე მხოლოდ დროის გასვლაა საჭირო.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასის, სარგოს, საპენსიო ფონდში შენატანის, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსების, გამოუყენებელი შვებულების დღეებისა და სხვა არაფულადი სარგებელის (მაგალითად როგორიც არის ჯანმრთელობის მომსახურებები და საბავშვო ბაღების მომსახურება) დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლის გადახდები, შენატანების სქემაში კანონით განსაზღვრული გადახდების გარდა.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს, მიერ დამტკიცება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, შეფასებებთან ერთად, აგრეთვე იყენებს განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულ საქმიანობაში კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა ტრანზაქციების ფასი საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არსებობს ასეთი ტრანზაქციის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასწარმოქმნა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები მოცემულია 27-ე შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივებისმოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებისცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე ექნებოდა შემდეგი ზეგავლენა:ზრდა/შემცირება 1,223 ათასი ლარით (2022: ზრდა/შემცირება 1,285 ათასი ლარით).

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ცვლილებები ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 17 „დაზღვევის კონტრაქტები" (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17 ცვლის ფასს 4-ს, რომელიც კომპანიებს უფლებას აძლევს, განაგრძონ სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვა არსებული პრაქტიკის გამოყენებით. შედეგად, ინვესტორებს გაუჭირდათ სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფასს 17 არის პრინციპზე დაფუძნებული ერთიანი სტანდარტი,

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის სადაზღვევო კონტრაქტს, მათ შორის გადაზღვევის კონტრაქტებს, რომლებსაც ფლობს მზღვეველი. სტანდარტი მოითხოვს სადაზღვევო კონტრაქტების

ჯგუფების აღიარებას და გაზომვას: (i) მომავალი ფულადი ნაკადების რისკის მიხედვით შესწორებული ამჟამინდელი ღირებულებით (შესრულების ფულადი ნაკადები), რომელიც აერთიანებს ყველა არსებულ ინფორმაციას შესრულების ფულადი ნაკადების შესახებ ისე, რომ შეესაბამებოდეს ბაზრის ინფორმაციას; პლუს (თუ ეს ღირებულება არის ვალდებულება) ან მინუს (თუ ეს ღირებულება არის აქტივი) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს მიუღებელ მოგებას კონტრაქტების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ სადაზღვევო დაფარვას და რამდენადაც ისინი გათავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან ხდება ზარალიანი, ერთეული დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. სტანდარტი არ ახდენს გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ფასს 17-ში და ცვლილება ფასს 4-ში (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს უამრავ განმარტებას, რომელიც გამიზნულია ფასს 17-ის განხორციელების გასაადვილებლად, სტანდარტის ზოგიერთი მოთხოვნის გამარტივების მიზნით. ცვლილებები ეხება IFRS 17-ის რვა სფეროს და ისინი არ არის გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლაზე. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (შესწორებების შემცველი) გადაიდო ორი წლით 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ფიქსირებული ვადის გასვლის თარიღი ასევე გადაიდო 2023 წლის 1 იანვარს დაწყებულ ან შემდეგ წლიურ საანგარიშგებო პერიოდებზე.
- *დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა:* ერთეულს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილი გადანაწილდეს დაკავშირებულ მოსალოდნელ ხელშეკრულების განახლებაზე და აღიაროს ეს ხარჯები აქტივად, სანამ ერთეული არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. ერთეულებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის შესაძლებლობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და მიაწოდონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
- *საკონტრაქტო მომსახურების ზღვარი, რომელიც მიეკუთვნება საინვესტიციო მომსახურებას:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სადაზღვევო დაფარვის, ისე საინვესტიციო სერვისების სარგებლის რაოდენობისა და მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, ცვლადი საკომისიოს მიდგომით გათვალისწინებული კონტრაქტებისთვის და ზოგადი მოდელის მიხედვით „ინვესტიციის დაბრუნების სერვისით“ სხვა კონტრაქტებისთვის. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა ჩაითვალოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო ხელშეკრულების საზღვრებში, იმდენად, რამდენადაც ერთეული ახორციელებს ასეთ აქტივობებს დაზღვეულის მფლობელისთვის სადაზღვევო დაფარვის სარგებლის გაზრდის მიზნით.
- *გადაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის აღდგენა:* როდესაც ერთეული აღიარებს ზარალს პირითადი სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას, ან ჯგუფში პირითადი კონტრაქტების დამატებისას, ერთეულმა უნდა შეცვალოს

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

დაკავშირებული გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა და აღიაროს მოგება დადებულ გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. ეს მოთხოვნა გამოყენებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელთ არსებული გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია წინამდებარე სადაზღვევო კონტრაქტებზე ზარალის აღიარებამდე ან იმავდროულად.

- *სხვა შესწორებები*: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ზარათის (ან მსგავსი) კონტრაქტის და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენა პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ვარიანტის გამოყენებადობა ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის კონტრაქტებისა და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასების შესაცვლელად ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადასახადებისა და ქვითრების გათვალისწინება, რომლებიც კონკრეტულად ეკისრება დამზღვევს დაზღვევის ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ფულადი სახსრების შესრულების ნაკადებში; და შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე ცვლილებები.

სტანდარტს არ ჰქონია გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარდამავალი ოფცია მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს - ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული ან შემდეგი წლიური პერიოდებისთვის.). ფასს 17-ში გარდამავალი მოთხოვნების ცვლილება მზღვეველებს აძლევს ოფციას, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობის გაუმჯობესებას ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მხოლოდ მზღვეველების გადასვლას ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს-ის სხვა მოთხოვნებზე. 17. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გარდამავალი მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგი ერთჯერადი კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციას: სააღრიცხვო შეუსაბამობა სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებს შორის, რომლებიც შეფასებულია მიმდინარე ღირებულებით და ნებისმიერი დაკავშირებული ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით; და თუ ერთეული ირჩევს ფასს 9-ის შედარებითი ინფორმაციის ხელახლა ჩამოყალიბებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შედარებით პერიოდში აღიარებულ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც გამოიყენება ფასს 9). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესოს შედარებითი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას აკეთებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შედარებითი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა იმ ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც ერთეული არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. გარდამავალი ვარიანტი ხელმისაწვდომი იქნება ინსტრუმენტიდან ინსტრუმენტზე საფუძველზე; მიეცით უფლება ერთეულს წარმოადგინოს შედარებითი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები იყო გამოყენებული ამ ფინანსურ აქტივზე, მაგრამ არ მოსთხოვოს ერთეულს გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და მოითხოვს ერთეულისგან, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია,

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

რომელიც ხელმისაწვდომია გარდამავალ თარიღზე, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის ერთეული ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ფასს 9-ის გამოყენებით. სტანდარტს არ ჰქონდა გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 1-ში და IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2: საღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1 შეიცვალა იმისთვის, რომ კომპანიებს მოეთხოვა გაამჟღავნონ არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა.

ცვლილება ითვალისწინებს მატერიალური საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის განმარტებას. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია სავარაუდოდ მატერიალურია თუ არა, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ გაიგონ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. შესწორებამ წარმოადგინა საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი იქნება ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებაში. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებამ განმარტა, რომ არამატერიალური საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არ უნდა იყოს გამჟღავნებული. თუმცა, თუ ის გამჟღავნდება, არ უნდა დაფაროს არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად, IFRS-ის პრაქტიკის განცხადება 2, „მატერიალურობის შეფასების გაკეთება“ ასევე შესწორდა, რათა უზრუნველყოს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენოს არსებითობის კონცეფცია საღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებაში. კომპანიამ გამოიყენა მოთხოვნები და ცვლილებები ბასს 1-ში ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ცვლილებები ბასს 8-ში: საღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 8-ში შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა საღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში ცვლილებებისგან. სტანდარტს არ ჰქონია გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც წარმოიქმნება ერთი ტრანზაქციის შედეგად - ცვლილებები ბასს 12-ში (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.). ბასს 12-ში შესწორებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, როგორიცაა იჯარა და დეკომისიაციის ვალდებულებები. მითითებულ გარემოებებში, ერთეულები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. ადრე არსებობდა გაურკვევლობა იმის შესახებ, მოქმედებდა თუ არა გათავისუფლება ისეთ ტრანზაქციებზე, როგორიცაა იჯარა და დეკომისიაციის ვალდებულებები - ოპერაციები, რომლებისთვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ასევე ვალდებულება. ცვლილებები განმარტავს, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება და რომ სუბიექტები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ ოპერაციებზე. ცვლილებები კომპანიებს ავალდებულებს, აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. სტანდარტს არ ჰქონია გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - ძირითადი მეორე მოდელის წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს) . 2023 წლის მაისში, IASB-მ გამოსცა ვიწრო მასშტაბის ცვლილებები ბასს 12-ში, „საშემოსავლო გადასახადები“. ეს ცვლილება

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

შემოღებულ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ საერთაშორისო საგადასახადო რეფორმის შედეგად გამოქვეყნებული სვეტის მეორე მოდელის წესების გარდაუვალი განხორციელების საპასუხოდ. ცვლილებები ითვალისწინებს დროებით გამონაკლისს გადავადებული გადასახადების აღიარებისა და გამჟღავნების მოთხოვნიდან, რომლებიც წარმოიქმნება ამოქმედებული ან არსებითად მიღებული საგადასახადო კანონიდან, რომელიც ახორციელებს მეორე სვეტის მოდელის წესებს. IASB-ის ამოქმედების თარიღის შესაბამისად, კომპანიებს შეუძლიათ გამოიყენონ გამონაკლისი დაუყოვნებლივ, მაგრამ გამჟღავნების მოთხოვნები საჭიროა 2023 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. სტანდარტს არ ჰქონია გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და რომლებიც ჯგუფს ადრე არ მიუღია.

ცვლილებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვაში და იჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები ეხება გაყიდვისა და იჯარის ოპერაციებს, რომლებიც აკმაყოფილებს ფასს 15-ის მოთხოვნებს გაყიდვის სახით აღრიცხვის შესახებ. ცვლილებები მოითხოვს გამყიდველ-მოიჯარესგან, შემდგომში გაზომოს ვალდებულებები, რომლებიც წარმოიქმნება გარიგებიდან და ისე, რომ არ აღიაროს რაიმე მოგება ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან. ეს ნიშნავს ასეთი მოგების გადადებას მაშინაც კი, თუ ვალდებულებაა განახორციელოს ცვლადი გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე. კომპანია არ ელის ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია, როგორც მიმდინარე ან გრძელვადიანი – ცვლილებები ბასს 1-ში (თავდაპირველად გამოცემული 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებული 2020 წლის 15 ივლისსა და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი, რაც დამოკიდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არ არის მიმდინარე, თუ ერთეულს აქვს არსებითი უფლება, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გადადოს ანგარიშსწორება არანაკლებ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითება აღარ მოითხოვს, რომ ასეთი უფლება იყოს უპირობო. 2022 წლის ოქტომბრის შესწორებამ დაადგინა, რომ სასესხო შეთანხმებები, რომლებიც უნდა შესრულდეს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ, არ იმოქმედებს ვალის კლასიფიკაციაზე, როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებების ანგარიშგების თარიღისთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, თუ პირობა დარღვეულია საანგარიშგებო თარიღამდე ან მის წინ, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარის თქმა მიიღება კრედიტორისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. პირიქით, სესხი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის შეთანხმება დაირღვა მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, ცვლილებები მოიცავს დავალიანების კლასიფიკაციის მოთხოვნების გარკვევას, რომელიც კომპანიამ შეიძლება გადაიხადოს მისი კაპიტალად გარდაქმნით.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

„ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალდებულების ლიკვიდაცია ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან ერთეულის საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც კონვერტაციის ოფცია კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტი. კომპანია არ ელის ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 7-ში ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება და ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება: მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს). ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა შეშფოთების საპასუხოდ ფინანსური შეთანხმებების არაადეკვატური ან შეცდომაში შემყვანი გამჟღავნების შესახებ, 2023 წლის მაისში, ბასს-მა გამოსცა

ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში, რათა მოითხოვოს გამჟღავნება ერთეულის მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების (SFAs) შესახებ. ეს ცვლილებები მოითხოვს ერთეულის მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების გამჟღავნებას, რაც საშუალებას მისცემს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეაფასონ ამ შეთანხმებების ზემოქმედება ერთეულის ვალდებულებებზე და ფულად ნაკადებზე და ერთეულის ლიკვიდურობის რისკზე. გამჟღავნების დამატებითი მოთხოვნების მიზანია მიმწოდებლის ფინანსური ღონისძიებების გამჭვირვალობის გაზრდა. ცვლილებები გავლენას არ ახდენს აღიარების ან გაზომვის პრინციპებზე, არამედ მხოლოდ გამჟღავნების მოთხოვნებზე. გამჟღავნების ახალი მოთხოვნები ძალაში იქნება 2024 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია არ ელოდება ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 14, მარეგულირებელი გადავადების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 14 საშუალებას აძლევს პირველად მიმღებებს განაგრძონ განაკვეთების რეგულირებასთან დაკავშირებული თანხების აღიარება მათი წინა GAAP მოთხოვნების შესაბამისად, როდესაც ისინი იღებენ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს. თუმცა, იმისათვის, რომ გაიზარდოს შედარება იმ სუბიექტებთან, რომლებიც უკვე ახორციელებენ ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს და არ ცნობენ ასეთ თანხებს, სტანდარტი მოითხოვს, რომ განაკვეთის რეგულირების ეფექტი სხვა მუხლებისგან განცალკევებით იყოს წარმოდგენილი. ერთეული, რომელიც უკვე წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, არ შეუძლია გამოიყენოს სტანდარტი. კომპანია არ ელის ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის ასოცირებულ ორგანიზაციას შორის ან ერთობლივი საწარმოს ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება ბასსს-ის მიერ განსაზღვრულ თარიღზე ან მის შემდეგ). ეს ცვლილებები ეხება შეუსაბამობას ფასს 10-სა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვას ან

კონტრიბუციას შორის. ცვლილებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივი მოგება ან ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს, მაშინაც კი, თუ ეს აქტივები ფლობს შვილობილ კომპანიას. კომპანია არ ელის ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობები შემდეგია:

ათასი ლარი	მიწა და შენობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავტომობილები	ავეჯი და მოწყობილობა	სავაჭრო აღჭურვილობა	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა და CIP*	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	20,276	117,650	4, 417	1,803	81,341	4,321	1,730	231,538
დაგროვილი ცვეთა	(7,239)	(102,057)	(3,388)	(1,315)	(68,763)	(3,925)	--	(186,687)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	**13,037**	**15,593**	**1,029**	**488**	**12,578**	**396**	**1,730**	**44,851**
დამატებები	95	1,954	--	334	4,016	309	7,767	14,475
ტრანსფერები	160	7,689	--	--	483	-	(8,332)	-
გასვლები (ღირებულება)	--	--	(32)	--	(556)	(52)	--	(640)
გასვლები(დაგროვილი ცვეთა	--	--	21	--	556	52	--	629
ცვეთის დარიცხვა	(671)	(6,556)	(408)	(155)	(4,838)	(217)	--	(12,845)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**12,621**	**18,680**	**610**	**667**	**12,239**	**488**	**1,165**	**46,470**
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	20,531	127,293	4,385	2,137	85,284	4,578	1,165	245,373
დაგროვილი ცვეთა	(7,910)	(108,613)	(3,775)	(1,470)	(73,045)	(4,090)	--	(198,903)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**12,621**	**18,680**	**610**	**667**	**12,239**	**488**	**1,165**	**46,470**
დამატებები	1,395	3,145	884	146	5,460	327	9,571	20,928
ტრანსფერები	852	7,839	54	38	503	-	(9,286)	--
გასვლები (ღირებულება)	--	(609)	(570)	(16)	(4,130)	-	--	(5,325)
გასვლები(დაგროვილი ცვეთა)	--	427	570	10	4,130	-	--	5,137
ცვეთის დარიცხვა	(679)	(5,457)	(332)	(184)	(5,344)	(230)	--	(12,226)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**14,189**	**24,025**	**1,216**	**661**	**12,858**	**585**	**1,450**	**54,984**
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	22,778	137,668	4,753	2,305	87,117	4,905	1,450	260,976
დაგროვილი ცვეთა	(8,589)	(113,643)	(3,537)	(1,644)	((74,259)	(4,320)		(205,992)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**14,189**	**24,025**	**1,216**	**661**	**12,858**	**585**	**1,450**	**54,984**

CIP - - დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა*

დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა ძირითადად მოიცავს დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა საწარმოო პროცესში შემდგომი გამოყენებისთვის. დასრულების შემდეგ, აქტივები გადაეცემა მანქანა-დანადგარებში და აღჭურვილობაში.

8. არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	სხვა	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	1,256	2,215	3,471
დაგროვილი ამორტიზაცია	(1,117)	(532)	(1,649)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	**139**	**1,683**	**1,822**
დამატებები	33		33
ამორტიზაციის დარიცხვა	(30)	(75)	(105)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**142**	**1,608**	**1,750**
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	1,289	2,215	3,504
დაგროვილი ამორტიზაცია	(1,147)	(607)	(1,754)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	**142**	**1,608**	**1,750**
დამატებები	1,980		1,980
ამორტიზაციის დარიცხვა	(31)	(75)	(106)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**2,091**	**1,533**	**3,624**
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	3,269	2,215	5,484
დაგროვილი ამორტიზაცია	(1,178)	(682)	(1,860)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	**2,091**	**1,533**	**3,624**

9. მარაგები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული და შესაფუთი მასალები	12,425	16,715
სათადარიგო ნაწილები	2,728	2,920
დაუმთავრებელი წარმოება	2,054	1,869
გადასაყიდი საქონელი	2,050	1,334
მზა პროდუქტი - თვითღირებულებით	1,672	2,308
სხვა	801	877
სულ მარაგები	**21,730**	**26,023**

გაყიდვების ღირებულების ხელახლა წარდგენის პერიოდის განმავლობაში ხარჯად აღიარებული თანხა შეადგენს 103,698 ათას ლარს (2022 წელს: 101,272 ათასი ლარი)

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	25,574	17,700
სხვა ფინანსური მოთხოვნები	495	131
საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(94)	--
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**25,975**	**17,831**
გადახდილი ავანსები	3,189	3,222
წინასწარ გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები, გარდა მოგების გადასახადის	596	1,461
სხვა მოთხოვნები	55	110
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**29,815**	**22,624**

196 ათასი ლარის ოდენობის (2022 წლის 31 დეკემბერს: 163 ათასი ლარი) სავაჭრო მოთხოვნები გაუფასურების ზარალის ანარიცხების გარეშე, დენომინირებულია ევროში.

კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც თავის მხრივ იყენებს სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისათვის.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აჯგუფებს საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოიყენება ინდივიდუალური შეფასების მიდგომა. მიდგომა. გამარტივებული მიდგომის გამოყენების შესახებ დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 23.
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების პროფილს თითოეული ბალანსის თარიღამდე 36 თვის განმავლობაში და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია გამოვლენილი. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება იმ მაკროეკონომიკური ფაქტორების მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასასახად, რომელსაც გავლენა აქვს კლიენტების მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე. კომპანიამ გამოავლინა, რომ იმ ქვეყნების მშპ და უმუშევროზა, რომელშიც ის ჰყიდის პროდუქციასა და მომსახურებას, ყველაზე შესაფერისი ფაქტორებია და შესაბამისად აკორექტირებს ისტორიული ზარალის განაკვეთებს ამ ფაქტორებში მოსალოდნელ ცვლილებებზე.
სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალის ანარიცხი განისაზღვრება ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი ანარიცხების მატრიცის მიხედვით. ანარიცხების მატრიცა ეფუძნება დღეების რაოდენობას, როდესაც აქტივი ვადაგადაცილებულია,

კორექტირებულია საპროგნოზო ინფორმაციისთვის. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 23.

	2023 წ. 31 დეკემბერი				2022 წ. 31 დეკემბერი			
მთლიანი ღირებულება % (ათასი ლარი)	ზარალის განაკვეთი	მთლიანი სახალასო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სახალასო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მთლიანი სახალასო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	წმინდა სახალასო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები								
- მოკლევადიანი	0%	25,306	-	25,306	0%	15,148	-	15,148
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	0%	174	-	174	0%	2,523	-	2,523
- 30 -დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	0%	-	-	-	0%	-	-	-
- 91 -დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	0%	-	-	-	0%	-	-	-
- 181 -დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	0%	-	-	-	0%	-	-	-
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	100%	94	(94)	-	0%	29	-	29
თოტალ	-	25,574	(94)	25,480	-	17,700	-	17,700

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განმარტებულია საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებისთვის გამარტივებული ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის) მოდელის გამოყენებით წლიური პერიოდის დასაწყისში და ბოლოს.

ათასი ლარი	2023
საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე 1 იანვარს	-
ახალი წარმოშობილი	94
სულ საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოგებასა ან ზარალში	94
საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნებზე 31 დეკემბერს	94

11. ვადიანი ანაბრები

2023 წ. 14 ივლისს კომპანიამ დადო ხელშეკრულება ფინანსურ დაწესებულებასთან და განათავსა ვადიანი ანაბარი 1,500 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, 4,5% წლიური საპროცენტო სარგებლით, რომლის ამოწურვის თარიღია 2024 წ. 10 იანვარი.

12 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალაროში	2	-
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	35,437	21,616
ვადიანი დეპოზიტები სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით	-	5,769
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**35,439**	**27,385**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხი 2023 წ. 31 დეკემბერს და 2022 წ. 31 დეკემბერს არსებული კრედიტის რისკების დაყრდნობით. იხილეთ შენიშვნა 23 კომპანიის საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის აღწერისთვის.

	2023 წ. 31 დეკემბერი			2022 წ. 31 დეკემბერი		
ათასი ლარი	მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	ვადიანი დეპოზიტები	სულ	მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	ვადიანი დეპოზიტები	სულ
- საუკეთესო	-	-	-	-	-	-
- კარგი	29,855	-	29,855	21,616	5,769	27,385
- დამაკმაყოფილებელი	5,582	4,034	9,616	-	-	-
- სპეციალური მონიტორინგი	-	-	-	-	-	-
სულ ფულადი სახსრები და მათიეკვივალენტები, სალაროში ფულადი სახსრების გამოკლებით	**35,437**	**4,034**	**39,471**	**21,616**	**5,769**	**27,385**

13. განთავსებული სააქციო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნომინალური რეგისტრირებული ოდენობა იყო 20 ათასი ლარი. 2023 წელს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გამომშვებული სააქციო კაპიტალის ოდენობა გაიზარდა (ახალი 80 ათასი აქცია გამოშვებული იყო უშუალო მშობელ კომპანიაზე) და 2023 წ. 31 დეკემბერს შეადგინა 100 ათასი.

ჩვეულებრივი აქციების ჯამური ნებადართული რაოდენობა არის 100 ათასი აქცია (2022 წ.: 20 ათასი აქცია) თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებით 1 ლარი (2022 წელი: 1 ლარი თითოეულ აქციაზე). ყოველ ჩვეულებრივ აქციას აქვს ერთი ხმა. მშობელი კომპანიის შენატანი იხილეთ შენიშვნაში 28.

საემისიო შემოსავალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მიღებული შენატანების გადაჭარბებას.

კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები 2023 და 2022 წლებში.

14. ნასესხები სახსრები

კომპანიის ნასესხები სახსრები ჯამური ოდენობით 20,030 ათასი ლარი (2022 წლის 31 დეკემბერს: 38,865 ათასი ლარი) დენომინირებულია აშშ დოლარში.

კომპანიამ მიიღო სესხი უშუალო მშობელი კომპანიისგან Efes Breweries International B.V. 2014 წლის 1 დეკემბერს, ბოლო განახლებით 2020 წლის 31 დეკემბერს. წლიური პროცენტი არის 4% + 3 თვის LIBOR და სესხის დაფარვის ვადა არის 2024 წლის 31 დეკემბერი.

15. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საფინანსო საქმიანობის ნაწილში:

	2023 წ. 31 დეკემბერი			2022 წ. 31 დეკემბერი		
ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ	ნასესხები სახსრები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 1 იანვარს	38,865	937	39,802	59,363	1,324	60,687
ფულადი ნაკადები						
ძირითადი თანხის დაფარვა	(18,315)	(959)	(19,274)	(13,174)	(840)	(14,014)
საპროცენტო გადახდები	(2,465)	(139)	(2,604)	(2,690)	(87)	(2,777)
არაფულადი ცვლილებები						
პროცენტის დარიცხვა	2,646	139	2,785	1,845	87	1,932
ახალი იჯარები	-	1,760	1,760	-	692	692
სავალუტო კორექტირებები	(701)	93	(608)	(6,479)	(239)	(6,718)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 31 დეკემბერს	20,030	1,831	21,861	38,865	937	39,802

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	39,353	31,291
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	157	208
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზებული ღირებულებით	***39,510***	***31,499***
დარიცხული დაქირავებულ თანამშრომელთა	1,219	138
სხვა	1	14
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**40,730**	**31,651**

17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია გამოიმუშავებს მის ამონაგებს კლიენტებთან დროის გარკვეულ მომენტში საქონლის გადაცემით, შემდეგ ძირითად გეოგრაფიულ რეგიონებში:

ათასი ლარი	2023	2022
ადგილობრივი გაყიდვები	113,062	110,739
საექსპორტო გაყიდვები	103,376	89,690
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**216,438**	**200,429**

სახელშეკრულებო ვალდებულებებთან მიმართებაში აღიარებული შემოსავალი. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებული 991 ათასი ლარის ოდენობის ამონაგები იყო აღიარებული (2022 წელი: 225 ათასი ლარი).

18. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება ხარჯების ტიპების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

ათასი ლარი	2023	2022
გამოყენებული ნედლეული და სახარჯი მასალები	103,698	101,272
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	9,274	6,893
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	6,500	7,256
ენერგიისა და კომუნალური ხარჯები	4,767	4,474
სარემონტო და მოვლა-შენახვის მომსახურება	1,505	1,196
წარმოების სხვა ზედნადები ხარჯები*	7,270	6.190
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	133,014	127,281

**წარმოების სხვა ზედნადები ხარჯები მოიცავს ლაბორატორიული ანალიზის ხარჯებს, დაზღვევის ხარჯებს, წარმოების დამატებითი მასალების ჩამოწერას და სხვა მცირე დანახარჯებს.*

თანამშრომელთა სარგებლის ხარჯებში შედის კანონით დადგენილი საპენსიო შენატანები 217 ათასილარის ოდენობით (2022 წ.: 141 ათასი ლარი).

19. დისტრიბუციის ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	10,485	8,848
სარეკლამო და მარკეტინგის მომსახურების ხარჯები	6,153	6,491
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	5,049	5,085
კომპანიის გარეთ არსებული რესურსებით განხორციელებული ბიზნეს- მომსახურება	2,210	2,245
ტრანსპორტირების ხარჯები	1,027	1,230
სარემონტო და მოვლა-შენახვის მომსახურება	715	589
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთა	600	508
სხვა	1,903	1,194
სულ დისტრიბუციის ხარჯები	28,142	26,190

თანამშრომელთა სარგებლის ხარჯებში შედის კანონით დადგენილი საპენსიო შენატანები 294 ათასილარის ოდენობით (2022 წ.: 237 ათასი ლარი).

20. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2023	2022
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	8,242	6,763
კომპანიის მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები	5,844	5,207
დანაკლისებისა და ზარალის ხარჯები	1,527	715
საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალური მომსახურება	1,155	950
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	859	550
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	783	609
ტრანსპორტირების ხარჯები	706	502
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	457	466
სხვა	2,017	2,013
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**21,590**	**17,775**

(*) პროფესიონალური მომსახურება მოიცავს 177 ათას ლარს (2022 წ.: 162 ათასი ლარი) - აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ 2023 წლისთვის გაწეული აუდიტისა და სხვა მომსახურებისთვის გადახდილ საფასურს, როგორც ეს განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თანამშრომელთა სარგებლის ხარჯებში შედის კანონით დადგენილი საპენსიო შენატანები 180 ათასი ლარის ოდენობით (2022 წ.: 118 ათასი ლარი).

21. ფინანსური შემოსავალი/ხარჯები, ნეტო

ათასი ლარი	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	780	1,026
სავალუტო შემოსულობა შემცირებული ნასესხები სახსრებიდან მიღებული ზარალით	701	6,479
ფინანსური შემოსავალი	**1,481**	**7,505**
საპროცენტო შემოსავალი (შენიშვნა 15)	(2,785)	(1,932)
ფინანსური ხარჯი	(2,785)	(1,932)
წმინდა ფინანსური შემოსავალი	(1,304)	5,573

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული

კონსულტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით, რომელიც აღემატება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულ ანარიცხებს.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები. საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების მისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს, იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოები წარმატებით აღასრულებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობა ზოგადად შეესაბამება საერთაშორისო სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ, თუმცა მას გააჩნია სპეციფიური თვისებები. ეს კანონმდებლობა განაპირობებს დამატებითი საგადასახადო შეფასების შესაძლებლობას კონტროლირებული ოპერაციებისათვის (ოპერაციები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის და გარკვეული ოპერაციები დაუკავშირებელ მხარეებთან), თუ მსგავსი ოპერაციები არ ხორციელდება „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით". ხელმძღვანელობამ დანერგა შიდა კონტროლი, რომელიც შესაბამისობაშია სატრანსფერო ფასების კანონმდებლობასთან.

კონტროლირებული ოპერაციებიდან წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულებები განისაზღვრება, მათი ფაქტობრივი გარიგების ფასების საფუძველზე. შესაძლებელია სატრანსფერო ფასების წესების ინტერპრეტაციების განვითარებით მსგავსი სატრანსფერო

ფასების გამოწვევის წინაშე დაყენება. ნებისმიერი მსგავსი გამოწვევის გავლენის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია; თუმცა, შეიძლება იგი მნიშვნელოვანი იყოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის და/ან კომპანიის ოპერაციებისათვის.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები ძირითადი საშუალებებთან დაკავშირებით , საერთო ჯამში 9,416 ათასი ლარის ოდენობით (2022 წ.: 4,259 ათასი ლარი).

კომპანიამ უკვე გამოყო საჭირო რესურსები აღნიშნულ ვალდებულებებთან დაკავშირებით. კომპანიას მიაჩნია, რომ მომავალი წმინდა შემოსავალი და დაფინანსება საკმარისი იქნება ამ და ნებისმიერი მსგავსი ვალდებულებების დასაფარად.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო სარგებლის და ფასის სხვა რისკების ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.
საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საკრედიტო პირობებით საქონლის გაყიდვის და პარტნიორებთან სხვა ოპერაციების შედეგად, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს.
კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმუმი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიის საქმიანობის ერთადერთი უდიდესი რისკია, ამიტომ ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დროის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე, როგორც დაკავშირებული კოეფიციენტებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ზღვრები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მსესხებელთან, მსესხებელთა ჯგუფთან ან გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. როგორც წესი, ხელმძღვანელობა ამტკიცებს პროდუქტებისა და სამრეწველო დარგების მიხედვით საკრედიტო რისკის ზღვრებს. მსგავსი რისკების მონიტორინგი რევოლვურ საფუძველზე ხორციელდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ მიმოხილვას.

საკრედიტო რისკის საფეხურების სისტემა. საკრედიტო რისკის შესაფასებლად და საკრედიტო რისკის დონის მიხედვით ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საფეხურების განსასაზღვრად, კომპანია იყენებს გარე, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (როგორებიცაა Standard & Poor's - "S&P", Fitch, Moody's) მიერ შეფასებულ რისკის საფეხურების მიდგომას. შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები დაიტანება კომპანიის მიერ შედგენილ შიდა ძირითად შკალაზე დეფოლტის ალბათობის განსაზღვრული დიაპაზონით, როგორც ეს განმარტებულია ცხრილში ქვემოთ:

საკრედიტო რისკის საფეხურების ძირითადი შკალა	შესაბამისი შიდა რეიტინგები	გარე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (S&P) შესაბამისი რეიტინგები	დეფოლტის ალბათობის შესაბამისი ინტერვალი
საუკეთესო	[1 – 6]	AAA -დან BB+ -მდე	0,01% – 0,5%
კარგი	[7 – 14]	BB -დან B+ -მდე	0,51% – 3%
დამაკმაყოფილებელი	[15 – 21]	B, B-	3% – 10%
სპეციალური მონიტორინგი	[22 – 25]	CCC+ -დან CC- -მდე	10% – 99,9%
დეფოლტი	[26 – 30]	C, D-I, D-II	100%

ძირითად შკალაზე რისკის თითოეულ დონეს ენიჭება გადახდისუნარიანობის კონკრეტული ხარისხი:

- საუკეთესო – მაღალი საკრედიტო ხარისხი, დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით
- კარგი – სათანადო საკრედიტო ხარისხი, საშუალო მოსალოდნელი საკრედიტო რისკით
- დამაკმაყოფილებელი – საშუალო საკრედიტო ხარისხი, დამაკმაყოფილებელი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით
- სპეციალური მონიტორინგი – საჭიროებს მჭიდრო მონიტორინგსა და გამოსწორებით მენეჯმენტს, და
- დეფოლტი – ობიექტები, რომლებშიც დაფიქსირდა დეფოლტი.

რეიტინგის მოდელები რეგულარულად განიხილება ფინანსური გუნდის მიერ, მოწმდება ფაქტობრივი დეფოლტის მონაცემები და განახლდება, საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად გამოყენებული მეთოდისა, კომპანია რეგულარულად ამოწმებს რეიტინგების შეფასების სიზუსტეს და აფასებს მოდელების პროგნოზირების ძალას.

გარე რეიტინგები კონტრაგენტებს ენიჭება დამოუკიდებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ, როგორიცაა S&P, Moody's და Fitch. ეს რეიტინგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპანიის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე, აქტივების კლასების მიხედვით, არის შემდეგი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 10)		
- სავაჭრო მოთხოვნები, წეტო	25,480	17,700
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	495	131
მოთხოვნები აქციონერისაგან	75	--
ვადიანი ანაბარი (შენიშვნა 11)	4,034	--
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 12)		
- მოთხოვნამდე დასაფარი საბანკო ნაშთები	35,437	27,385
სულ რისკისადმი საბალანსო დაქვემდებარება 31 დეკემბერს	65,521	45,216
საკრედიტო რისკის მთლიანი მაქსიმალური დაქვემდებარება 31 დეკემბერს	65,521	45,216

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის *(ECL)* შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის დღევანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით კომპანიის მიერ ECL-ის შესაფასებლად გამოიყენება ინდივიდუალური შეფასების მიდგომა.

ECL-ის ინდივიდუალურად შეფასება ტარდება საკრედიტო ზარალის სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეფასების შეწონვით თითოეული შედეგის ალბათობით. ინდივიდუალური მიდგომა გამოყენებულია როგორც რეგიონული დისტრიბუტორებისთვის, ასევე საექსპორტო გაყიდვებისთვის. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად ეფუძნება გაყიდვებისა და ფინანსური საკითხების გუნდებისსაექსპერტო განსჯას. როგორც წესი, საექსპერტო განსჯის

ტესტირება ხდება, რათა შემცირდეს შეფასებულ და ფაქტობრივ ზარალს შორის სხვაობა.

ECL მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ისევე როგორც ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზის შემთხვევაში, ეს პროგნოზები და ხდომილების ალბათობები ექვემდებარება მაღალი ხარისხის თანდაყოლილ განუსაზღვრელობას, ამიტომ ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს პროგნოზირებულისგან. კომპანიის აზრით ეს პროგნოზები შესაძლო შედეგების საუკეთესო შეფასებაა და ის კომპანიის სხვადასხვა პორტფელის ფარგლებში არაწრფივობასა და ასიმეტრიებს აანალიზებს, რათა დაადგინოს, შერჩეული სცენარები, შესაძლო სცენარების სპექტრის შესაფერისად, წარმომადგენლობითია თუ არა.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს თავის მეთოდოლოგიასა და დაშვებებს, რათა შეამციროს შეფასებულ და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის განსხვავება. ეს შემოწმება წელიწადში ერთხელტარდება.

ECL-ის შეფასების მეთოდოლოგიის შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაციას აწვდიან კომპანიის ხელმძღვანელობას და მოდელებისა და დაშვებების დახვეწის ღონისძიებები განისაზღვრება უფლებამოსილი პირების მიერ განხილვის შემდეგ.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებებისშემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებით ხელმძღვანელობა ვალუტების მიხედვით ადგენს რისკის ზღვრულ დონეს, როგორც ერთდღიანი, ისე დღიური პოზიციებისათვის, რისი მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2023 წლის 31 დეკემბერი			2022 წლის 31 დეკემბერი		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ლარი	31,457	(22,288)	9,169	27,952	(8,001)	19,951
აშშ დოლარი	30,446	(30,786)	(340)	10,403	(51,094)	(40,691)
ევრო	2,765	(7,541)	(4,776)	6,861	(12,089)	(5,228)
რუბლი	855	(600)	255	--	--	--
სულ	65,523	(61,215)	4,308	45,216	(71,184)	(25,968)

ზემოთხსენებული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ ინვესტიციები არაფულად აქტივებში სავალუტო რისკის არსებით ზრდას არ გამოიწვევს.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს მოგებისა და ზარალის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების შესაძლო ცვალებადობის მიმართ, რომლებიც გამოყენებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის სამუშაო ვალუტასთან დაკავშირებით, ყველა სხვა ცვლადების უცვლელად დარჩენის შემთხვევაში:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(68)	(8,138)
აშშ დოლარის გაუფასურებაა 20%-ით	68	8,138
ევროს გამყარება 20%-ით	(955)	(1,046)
ევროს გაუფასურება 20%-ით	955	1,046

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჯა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და აწესებს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ფასწარმოქმნის შეუსაბამობის დონეზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით.

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	54,491	11,032	--	--	65,523
სულ ფინანსური ვალდებულებები	(20,800)	(25,828)	(13,908)	(679)	(61,215)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის სხვაობა 2023 წლის 31 დეკემბერს	33,691	(14,796)	(13,908)	(679)	4,308
2022 წლის 31 დეკემბერი					
სულ ფინანსური აქტივები	43,382	1,834	--	--	45,216
სულ ფინანსური ვალდებულებები	(17,973)	(13,388)	(39,322)	(501)	(71,184)
წმინდა საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის სხვაობა 2022 წლის 31 დეკემბერს	25,409	(11,554)	(39,322)	(501)	(25,968)

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის კომპანიის ფინანსური მდგომარეობის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელ ცვლილებებზე, რაც გამოიხატება საპროცენტო თანხების ზრდით მოზიდული სახსრების მიმართ ან გამოყოფილი სახსრებიდან მიღებული შემოსავლის შემცირებით. კომპანიას არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მართვის ფორმალური პოლიტიკა და პროცედურები. კომპანიას არ გააჩნია მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივები.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკს მართავს კომპანიის ფინანსური გუნდი. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც, ძირითადად, მოიცავს ნასესხებ სახსრებს, იჯარებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანია თანხების ინვესტირებას ახორციელებს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეძლოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ მოთხოვნებზე სწრაფად და მშვიდად რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 12) ხელმძღვანელობის შეფასების მიხედვით, აღნიშნული ლიკვიდური პორტფელი, რომელიც მოიცავს ფულად სახსრებს, საბანკო დეპოზიტებს შეიძლება რეალიზებულ იქნეს ფულად სახსრებად ერთი დღის განმავლობაში, ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ფინანსური გუნდი ახორციელებს ლიკვიდურობის პოზიციის მონიტორინგს და რეგულარული ლიკვიდურობის სტრესის ტესტირებას სხვადასხვა სცენარით, რომლებიც მოიცავს როგორც ჩვეულებრივ, ისე მკაცრ საბაზრო პირობებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მათ შორის მთლიანი იჯარის ვალდებულებებს (სამომავლო ფინანსური ხარჯების გამოქვითვამდე), მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, განმარტებით შენიშვნებში ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	5,353	7,755	6,540	--	19,648
საიჯარო ვალდებულებები	87	429	490	679	1,685
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 16)	16,434	16,242	6,834	--	39,510
სულ სამომავლო გადახდები, ბირთანხისა და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**21,874**	**24,426**	**13,864**	**679**	**60,843**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	5,388	--	34,273	-	39,661
საიჯარო ვალდებულებები	77	237	174	576	1,064
სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 16)	12,508	10,624	8,367	-	31,499
სულ სამომავლო გადახდები, ბირთანხისა და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**17,973**	**10,861**	**42,814**	**576**	**72,224**

24. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვადაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ მართული კაპიტალის ოდენობა იყო 89,040 ათასი ლარი (2022 წლის 31 დეკემბერი: 53,868 ათასი ლარი).

25. რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მე-3 დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ არადაკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. იმ აქტივების და ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2023 წლის 31 დეკემბერი				2022 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	1დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	1 დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	35,439	-	35,441	-	27,385	-	27,385
- ვადიანი ანაბრები	-	4,034	-	4,034	-	-		
- სავაჭრო მოთხოვნები	-	-	25,975	25,975	-	-	17,831	17,831
მოთხოვნები აქციონერისაგან	-	-	75	75	-	-	-	-
სულ აქტივები	2	39,473	26,050	65,525	-	27,385	17,831	45,216
ვალდებულებები	-	-	20,030	20,030	-	-	38,865	38,865
- ნასესხები სახსრები	-	-	39,353	39,353	-	-	31,291	31,291
- სავაჭრო ვალდებულებები	-	-	157	157	-	-	208	208
- სხვა დარიცხული ვალდებულებები								
სულ ვალდებულებები	-	-	59,540	59,540	-	-	70,364	70,364

რეალური ღირებულები იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებში შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების,

რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასდა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

26. ფინანსური დოკუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური დოკუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (ბ) სავალო დოკუმენტები FVOCI-ით, (გ) წილობრივი დოკუმენტები FVOCI-ით და (დ) ფინანსური დოკუმენტები ამორტიზებული ღირებულებით AC. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ დოკუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი მოხვდა ამორტიზირებული ღირებულებით (AC) შეფასებულის კატეგორიაში და კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება გატარდა ამორტიზირებული ღირებულებით.

27. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანიგავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო

გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი		2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთლიანი თანხა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	196	114
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	საბოლოო მესაკუთრე	(5,367)	(845)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	(63)	(32)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა დაკავშირებული მხარეები	(170)	(174)
ნასესხები სახსრები	უშუალო მშობელი კომპანია	(20,030)	(38,865)

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ათასი ლარი		2023	2022
საქონლის გაყიდვა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,428	930
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შეძენა	საბოლოო მესაკუთრე	(3,525)	(2,860)
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შეძენა	სხვა მნიშვნელოვანი აქციონერები	(7,783)	(3,827)
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შეძენა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	(30)
ნედლეულისა და სახარჯო მასალის შეძენა	სხვა დაკავშირებული მხარეები	(981)	(1,089)
ხელმძღვანელობის საფასურის ხარჯი	საბოლოო მესაკუთრე	(2,665)	(1,970)
სხვა მომსახურებები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	-	(14)
საპროცენტო ხარჯი	უშუალო მშობელი კომპანია	(2,646)	(1,845)

სხვა დაკავშირებული მხარეები მოიცავს უშუალო მშობელი კომპანიის ცალკეული აქციონერების პირდაპირი ან ირიბი კონტროლის ქვეშ ან მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებს.

მთავარი ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. მთავარი ხელმძღვანელი პირები შედგება კომპანიის დირექტორებისგან. მთავარი ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი კომპენსაცია სრულ განაკვეთზე აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციებზე მომსახურებისთვის შედგება სახელშეკრულებო ხელფასებისგან, პრემიებისა და არაფულადი სარგებლისგან 4,733 ათასი ლარის ოდენობით (2022 წ.: 4,018 ათასი ლარი).

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ცვლილებები მთავარი ხელმძღვანელი პირების შემადგენლობაში. 2024 წ. 1 თებერვლიდან კომპანიის ფინანსური დირექტორი გახდა დილარა ერდოღანი, ჩაგრი ქაიას სანაცვლოდ.

ნასესხები სახსრები. 2024 წელს, ფინანსური ანგარიშგების გაცემამდე კომპანიამ Efes Breweries International B.V.-ს გადაუხადა დაუფარავი ნასესხები სახსრები 6,500 ათ დოლარის ოდენობით.

